

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

27 ივნისი, 2025



№ 4 [2258]



**პროფესიული განათლების II კონფერენცია**  
„პროფესიული განათლება საქართველოში: შესაძლებლობები და გამოწვევები“

3 გვ.

**პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ორმაგი ხარისხის დიპლომი – როგორც თსუ-ს, ასევე ტუშას უნივერსიტეტის.**

6 გვ.



მემორანდუმი

**მარიამ უთრუგაშვილი: „მე და თსუ-მ ერთმანეთი ვიპოვეთ“**

მისი ნააზრევი ხშირად რომანტიკული და პოეტურია

9 გვ.



**რა წერილით მიმართა საორგანიზაციო კომიტეტს თსუ-ს რექტორმა?**


**არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესს 2027 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს!**

ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოცხადდა ლიონში (საფრანგეთი) გამართულ მსოფლიო კონგრესის სხდომაზე. ოფიციალურ წერილს კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტისგან თსუ მოგვიანებით მიიღებს.

3 გვ.

**კონფერენციები, რომლებიც რისმაგ გორდუზიანის დაბადებიდან 85 წლის იუბილეს მიეძღვნა**

4 გვ.



**ირმა რატიანის ახალი წიგნი - „დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით“**

როდის დაიბადა წიგნის დაწერის იდეა? - რას ამბობს ავტორი

13 გვ.



**სტუდენტური ფურცელი**

5-12 გვ.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა

7 გვ.



**სამწლიანი წარმატებული თანამშრომლობა შტუტგარტის უნივერსიტეტთან: ციფრული მეთოდები, საერთაშორისო გამოცდილება და მომავლის გეგმები**

13 გვ.



**გუგული მადრაძის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თსუ-ში**

მისი პროფესიული გზა მჭიდროდ უკავშირდება თსუ-ს

15 გვ.



# ქრონიკა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და „საქართველოს უპილოტო ტექნოლოგიების ასოციაციის“ დირექტორმა ნოდარ ხიდუშელმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, უპილოტო საფრენი ტექნოლოგიების შესახებ სწავლება, გამოცდილების გაზიარება და პოპულარიზაცია განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო კურსი თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში, რომელიც საშუალებას მისცემს თსუ-ს სტუდენტებს, რომ უპილოტო საფრენი აპარატების პილოტირება და ინჟინერია შეისწავლონ.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტისა და „საქართველოს უპილოტო ტექნოლოგიების ასოციაციის“ თანამშრომლები.



\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და საკონსულტაციო-აუდიტორული კომპანია „იგალ“-ის დირექტორმა მალხაზ უჯმაჯურიძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანია „იგალ“-ი უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს პროფესიული პრაქტიკის, სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობის მოძიებაში, აგრეთვე, პროფესიული უნარების განვითარებაში, რაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის სხვადასხვა პოზიციაზე გავლას გულისხმობს.

ლონისძიებას თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მანანა ლობჯანიძე, პროფესორები და „იგალ“-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ კორეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან ჰიონ-დუ კიმთან სამუშაო შეხვედრა გამართა.



შეხვედრაზე დაიგეგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაში კორეული ენის სწავლების შეტანა. კორეის საელჩოს დახმარებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კორეული ენის სპეციალისტი თსუ-ს სტუდენტებს კორეულ ენას ასწავლის. ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს კორეული ენის სახელმძღვანელოს.

მხარეებმა, ასევე, თსუ-სა და კორეის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე, სტუდენტებისა და პროფესორების მობილობის შესაძლებლობებსა და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე ასევე დაიგეგმა ელჩის საჯარო ლექციის გამართვა თსუ-ს სტუდენტებისთვის, რომელიც კორეის რესპუბლიკის ისტორიასა და კულტურას, ასევე კორეა-საქართველოს ურთიერთობას შეეხება.

\*\*\*

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ოპტიკაში მსოფლიოში წამყვანი გერმანული კომპანიის კარლ ცაისის (CARL ZEISS) უახლესი მიკროსკოპებით შეძლებენ კვლევას.

გერმანული კომპანიის CARL ZEISS წარმომადგენლებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილესთან კახაბერ ჭეიშვილთან, თსუ-ს კანცლერთან ლაშა საღინაძესთან, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან პეტრე ბაბილუასთან და პროფესორებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

თანამშრომლობის ფარგლებში, მორფოლოგიის კათედრაზე მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძინა 19 თანამედროვე, მაღალი გარჩევადობის მიკროსკოპი. აღნიშნული მიკროსკოპებით სარგებლობას შეძლებენ როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ პრაქტიკულ გამოცდილებასა და სწავლის ხარისხს.



თსუ-ს რექტორის მოადგილე კახაბერ ჭეიშვილმა მადლობა გადაუხადა CARL ZEISS-ის კომპანიის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს მსოფლიოში ცნობილ კომპანიასთან აქვს ურთიერთობა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში თანამედროვე ტექნოლოგიებით მიმდინარეობდეს სასწავლო და კვლევითი საქმიანობა. ჩვენ ვისარგებლებით ცნობილი გერმანული კომპანიის მხარდაჭერით და გვჯერა,

რომ უფრო გავაუმჯობესებთ სასწავლო პროცესს, ვინაიდან დღევანდელი სასწავლო პროცესი ვერ წარიმართება თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე“, — აღნიშნა კახაბერ ჭეიშვილმა.

კარლ ცაისი (CARL ZEISS) უძველესი კომპანიაა, რომელიც 1846 წლიდან არსებობს როგორც ინოვაციური ტექნოლოგიების მწარმოებელი, როგორც სამედიცინო, ისე ბიოტექნოლოგიის და ასტრონომიის მიმართულებით.



\*\*\*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, რექტორ ჯაბა სამუშიას ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ეწვია ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტს (Universit  Catholique de Lille, UCL), რომელიც თსუ-ს მრავალწლიანი და წარმატებული პარტნიორია.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტებს შორის არსებული აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება, ორმხრივი პარტნიორობის ახალი შესაძლებლობების შესწავლა და საერთო საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობის გაგრძელება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, ფაკულტეტების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისთან. განხილულ იქნა ერთობლივი კვლევითი ინიციატივები, გაცვლითი პროგრამების გაძლიერება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა.

თსუ და ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი უკვე მრავალი წელია თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ჰუმანიტარულ, სოციალურ და სამართლის მეცნიერებებში.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს European University Foundation-ის (EUF) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში — Open



Space 2025: Supporting Changemakers in European Higher Education, რომელიც 2025 წლის 11-13 ივნისს გაიმართა ირლანდიაში, ლიმერიკის უნივერსიტეტის მასპინძლობით. კონფერენციის მთავარი თემა იყო Erasmus+ KA2 პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და მათი როლი ევროპული განათლების სივრცეში. სამუშაო სესიების ფარგლებში განხილული იქნა აქტუალური საკითხები, რაც გულისხმობდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას. ლონისძიებამ ასევე შექმნა ნაყოფიერი პლატფორმა პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ახალი მიმართულებების განსაზღვრისა და არსებული ურთიერთობების გაღრმავებისთვის. კონფერენციის მონაწილეებმა წარადგინეს ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციური იდეების რეალიზაციას და ცვლილებების განხორციელებას უმაღლეს განათლებაში.

მომზადდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

## ლალო პაპავა 2024 წლის საერთაშორისო დონის გამოჩენილ მეცნიერად აღიარეს



ნიკო ჯაულია

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ვლადიმერ (ლალო) პაპავა აღიარებულია 2024 წლის საერთაშორისო დონის გამოჩენილ მეცნიერად. გამოკითხვა ახლახანს ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკურმა ავტორიტეტულმა პლატფორმამ Scholar GPS-მა, რომელიც აფასებს მეცნიერ-მკვლევართა და აკადემიური დაწესებულებების საქმიანობას პუბლიკაციების ციტირების ინდექსის მიხედვით. Scholar GPS-ის მონაცემთა ბაზა აერთიანებს 30 მილიონზე მეტი მეცნიერისა და 120 000 ინსტიტუციის პროფილს. შედეგების მიხედვით აკადემიკოს ლალო პაპავას მიეკუთვნა პრესტიჟული ადგილი წამყვან მეცნიერთა ჩამონათვალის 0,5% რაოდენობაში.

ვლადიმერ პაპავას ბოლო წიგნი — „რეტროეკონომიკიდან სანქციონომიკამდე: ესეები არატრადიციულ ეკონომიკაზე“ („From Retroeconomics to Sanctionomics: Essays on Unconventional Economics“. Bloomington, iUniverse, ISBN: 978-1663265777, 336 გვ.) — 2024 წელს გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში.



# არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესს 2027 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს!



ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოცხადდა ლიონში (საფრანგეთი) გამართულ მსოფლიო კონგრესის სხდომაზე. ოფიციალურ წერილს კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტისგან თსუ მოგვიანებით მიიღეს.

არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარების წერილით საორგანიზაციო კომიტეტს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ** მიმართა.

„გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ ინტერესს 2027 წლის არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესის (ICAANE) მასპინძლობის მიმართ.

როგორც რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი აკადემიური დაწესებულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმად არის ჩართული არქეოლოგიური კვლევების წინსვლასა და საერთაშორ-

ისო აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობაში. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობა და ჩვენი უნივერსიტეტის დიდი ხნის გამოცდილება ახლო აღმოსავლეთის კვლევებისადმი ქმნის იდეალურ გარემოს ამ დონის კონგრესისთვის.

ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, თუ თბილისში მივესალმებით მონაწილეებს მთელი მსოფლიოდან, ქალაქში, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს და გათავაზობს უნიკალურ ისტორიულ და კულტურულ ფონს მნიშვნელოვანი სამეცნიერო გაცვლისთვის.

დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი შესაძლებლობა, პროფესიული გამოცდილება საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში და ჩვენი აკადემიური საზოგადოების სტუმართმოყვარეობა უზ-

რუნველყოფს 2027 წლის წარმატებულ და დასამახსოვრებელ ღონისძიებას.

მოუთმენლად ველით შესაძლებლობას, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ICAANE-ს კომიტეტთან და შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ მნიშვნელოვანი აკადემიური ინიციატივის წარმატებაში, – ნათქვამი იყო თსუ-ს რექტორის წერილში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაწყვეტილება ლიონში (საფრანგეთი) გამართულ მსოფლიო კონგრესზე მიიღეს. ასე რომ, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2027 წელს გაიმართება, რაც ქართველი არქეოლოგების წარმატების და თსუ-ს საერთაშორისო აღიარების დასტურია.

ICAANE არის ყველაზე მასშტაბუ-

რი არქეოლოგიური კონგრესი, რომელიც მხოლოდ წარმატებულ, ევროპულ ქვეყნებსა და მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში იმართება. არქეოლოგთა საერთაშორისო კონგრესის თბილისში, თსუ-ში ჩატარება იქნება უპრეცედენტო მოვლენა, რადგან აქამდე კონგრესი არ ჩატარებულა არა თუ კავკასიის რეგიონის, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ქვეყანაში.

არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესი 1998 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ამ ხნის განმავლობაში კონგრესს მასპინძლობდნენ იტალიის, დანიის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ავსტრიის წამყვანი უნივერსიტეტები.

## პროფესიული განათლების II კონფერენცია – „პროფესიული განათლება საქართველოში: შესაძლებლობები და გამოწვევები“

61670 ჩარკვიანი

თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზებით კონფერენცია – „პროფესიული განათლება საქართველოში: შესაძლებლობები და გამოწვევები“ – გაიმართა. ღონისძიება ყოველწლიურია და წელს უკვე მეორედ ჩატარდა.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების განვითარება, რადგან ეს ცოდნა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე. ბუნებრივია, რომ კონფერენციაზე შეკრებილი სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლები მსჯელობენ იმ პრობლემებზე, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს, იმ საკითხებზე, რომელიც აუცილებლად გადასაწყვეტია და ასევე, იმ შესაძლებლობებზე, რაც სასწავლებლებმა უნდა მისცენ სტუდენტებს, – განაცხადა კონფერენციის გახსნისას თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ**.



პროფესიული განათლების კონფერენცია უფრო მასშტაბურია, რადგან მასში მთელი საქართველოდან ჩაერთვნენ სხვადასხვა კოლეჯები და პროფესიული ცენტრები. აქამდე თუ მხოლოდ თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის თბილისისა და ქუთაისის ფილიალები მონაწილეობდნენ, წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი, საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი, ილია წინამძღვრის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი (ქუთაისი), „ინოვაცია, ინტეგრაცია, ინკლუზია – ახალი ხედვები პროფესიულ განათლებაში“ (ირინე გოჩიტაშვილი, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი), „სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები“ (ბექა კილასონია, ეკონომიკის დოქტორი, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი), „მეფუტკრეობა, როგორც პერსპექტიული მიმართულება პროფესიულ განათლებაში“ (თინათინ ლალიძე, სსიპ ილია წინამძღვრის თბილისის პროფესიული კოლეჯი), „საექთნო განათლება აქ და ახლა“ (ანა არველაძე, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი) და სხვა. მომხსენებლები იყვნენ როგორც პრო-

ფესიული პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები თბილისიდან და რეგიონებში არსებული პროფესიული სასწავლებლებიდან.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მონაწილეები ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ კახეთში. გასულითი აქტივობის ფარგლებში მათ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – გრემი მოინახულეს და საქველმოქმედო აქციით ესტუმრნენ სოფელ გრემში სოციალურ სანარმო „თემს“.

„კონფერენციის მიზანი იყო გაფართოებულ ფორმატში სტუდენტებთან, კოლეგებთან და კურსდამთავრებულებთან ერთად გვემსჯელო პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე. ხოლო ექსკურსია მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების სასწავლებლების წარმომადგენლების და სტუდენტების უფრო მეტად დაახლოებას. ჩვენი ცენტრი სტუდენტებს სწავლასთან ერთად სთავაზობს აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას. მათ სწავლის პარალელურად შეუძლიათ განახორციელონ სტუდენტური პროექტები როგორც შემეცნებითი და საგანმანათლებლო, ასევე სპორტული, გასართობი და კულტურული მიმართულებით. გვიწინაა, რომ მათ არა მხოლოდ ლექციებზე დასწრება, არამედ სხვა დამატებითი აქტივობებიც შეეთავაზოთ. ჩვენი დაკვირვებით, ეს დადებითად იისახება სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე და ლექციებზე

დასწრების მაჩვენებელზეც. მაგალითად, წელს განვახორციელეთ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი – „ვისწავლოთ, დავემგობრდეთ და აღმოვაჩინოთ საქართველო – ექსტრაკურსული აქტივობები მდგრადი მომავლისთვის“. პროექტი მოიცავდა საგანმანათლებლო ლექციებს, ექსკურსიებს და ინტელექტუალურ თამაშს – „რა? სად? როდის?“. გარდა ამისა, ვმონაწილეობთ სხვა კოლეჯების სპორტულ აქტივობებშიც – გვყავს თსუ-ს ქუთაისის და თბილისის პროფესიული განათლების ცენტრების შერეული ფეხბურთის გუნდი, ასევე ფრენბურთის გოგონებისა და ბიჭების შერეული გუნდი. აღმოსავლეთ საქართველოში მეორე ადგილზე გავვით ფეხბურთის ჩემპიონატში. ახლა ფრენბურთის შეჯიბრისთვისაც ვემზადებით. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია“, – განაცხადა თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, ტურიზმის დოქტორმა ინეზა ვანაძემ.

თსუ-ს რექტორთან ერთად ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ კვინიკაძე, პროფესიული უნარების სააგენტოს ხელმძღვანელი ირინე მარგიშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა მარგიშვილი, თსუ-ს რექტორის მოადგილე კახაბერ ჭიჭიშვილი და თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან ნიქარიძე.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა თსუ პროფესიული სტუდენტის ელენე მაისურაძის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

ცნობისთვის: თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 2007 წლიდან ხორციელდება. 2019 წლიდან კი პროფესიული პროგრამების ადმინისტრირებას თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უძღვეს. დღეისთვის ცენტრი 16 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს თბილისსა და ქუთაისში, რომელზეც 400-მდე სტუდენტი სწავლობს.



ორგანიზატორების თქმით, კონფერენცია მომავალ წელს საერთაშორისო მნიშვნელობის იქნება. „ერთი თვის წინ გავაფორმეთ ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ვალგაამის პროფესიული განათლების ცენტრთან, ესტონეთში. ამის გარდა, ენტონეთში კიდევ ერთ პროფესიულ სასწავლებელთან ვთანამშრომლობთ და ესპანეთშიც ვამყარებთ კონტაქტებს. ინტერნაციონალიზაცია ჩვენი პრიორიტეტია, რადგან ჩვენს სტუდენტებს ჰქონდეთ გაცვლითი პროგრამები და გაეცნონ – როგორც სწავლობენ მათი თანატოლები, გაიზიარონ უცხოური გამოცდილება“, – აღნიშნა რექტორის მოადგილემ კახაბერ ჭიჭიშვილმა ჩვენთან საუბარში. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ წლევანდელი



# კონფერენციები, რომლებიც რისმაგ გორდებიან დაბადებიდან 85 წლის იუბილეს მიძღვნა

თაბარ ლალიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა სამეცნიერო კონფერენციას – „ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის აქტუალური საკითხები“, რომელიც მიეძღვნა თსუ-ს ემერიტუს პროფესორის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, ცნობილი ქართველი ელინისტიკისა და აკადემიკოსის რისმაგ გორდების დაბადებიდან 85 წლის იუბილეს. კონფერენცია კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა და მასში 30-მდე მკვლევარმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც იმუშავეს შემდეგ სექციებში: კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები, ბიზანტინისტიკის აქტუალური საკითხები, ნეოგრეციტიკის აქტუალური საკითხები, ანტიკურობის რეცეპცია მსოფლიო კულტურაში, ბერძნულიდან ქართულად თარგმნის აქტუალური საკითხები.

კონფერენციის ყველაზე შთაბეჭდვით ნაწილს წარმოადგენდა საგანგებო მილოცვები – სიტყვები, რომლებიც ერთდროულად იყო სამეცნიერო შეფასება და ადამიანური მადლიერების გამოხატულება.

ლონისძიება გახსნა თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ირინე დარჩიამ. მისი თქმით, 9 ივნისი, უკვე წლებია, მეცნიერების დღესასწაულად იქცა, რომელიც ახალგაზრდა თაობებს აზიარებს რისმაგ გორდების ხედვას და მის წვლილს მეცნიერების ისტორიაში: „დღეს ჩვენი უფერიფასესი მასწავლებლის, ცნობილი ელინისტიკის, დიდი საერთაშორისო აღიარების მქონე ჰუმანიტარის, თსუ-ს ემერიტუსი პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქსონის გვრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრის, ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, აკადემიკოსის, 250-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 28 ნიგნის ავტორის რისმაგ გორდების დაბადების დღეა. იგი ენიციკლოპედიის – „ანტიკური კავკასია“ – მთავარი რედაქტორი და საერთაშორისო ჟურნალის „Phasis“ მთავარი რედაქტორია. ბატონი რისმაგი 100-მდე ნიგნისა და მონოგრაფიის რედაქტორია ელინოლოგიის სფეროში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბატონ რისმაგს გაუკეთებია გარდა სამეცნიერო ღვაწლისა და პედაგოგიური საქმიანობისა, არის თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის, რომელიც დიდი მეცნიერის იდეის გაგრძელებაა. ჩვენ ამას არასდროს დავივიწყებთ“, – განაცხადა თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა, თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ირინე დარჩიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ წელს იუბილეს აღინიშნება ორი კონფერენციით – სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციით: „ანტიკურობის თანამედროვეობა“ და სამეცნიერო კონფერენციით: „ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის აქტუალური საკითხები“.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რომელმაც ასე მიმართა იუბილარს: „გულითადად გილოცავთ 85 წლის იუბილეს, გამორჩეულ თარიღს, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას – ღირსეულად შევაფასოთ თქვენი ბრწყინვალე აკადემიური გზა და წვლილი ქართული ჰუმანიტარული აზრისა და საგანმანათლებლო კულტურის განვითარებაში. 85 წელი მხოლოდ დროის ნიშნული არ არის – ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც თქვენივე სიცოცხლის განმავლობაში იქცა საფუძვლად არაერთი კვლევისა

და ახალი აღმოჩენისა. ეს არის გრძელი გზა, რომელიც ღირსეულად განვლეთ როგორც უნივერსიტეტელმა, ქართული მეცნიერული სკოლის უდიდესმა წარმომადგენელმა და ეროვნული კულტურული იდეების დამცველმა. თსუ-ს აუდიტორიებში არაერთმა თაობამ არა მხოლოდ შეისწავლა თქვენთან ბერძნულ-რომაული სამყარო, არამედ დაეუფლა კიდევ კრიტიკული აზროვნების, აკადემიური პატიოსნების და სიღრმისეული კვლევის კულტურას“.

თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ლევან გიგინეიშვილმა დიდი პატივისცემითა და სითბოთი ისაუბრა რისმაგ გორდების პედაგოგიურ ხიბლზე, რაც ახალგაზრდა მეცნიერის შთაგონებად იქცა: „თქვენ არა მარტო საუკეთესო გზამკვლევის კულტურასა და ფასეულობებს ფლობთ, არამედ თქვენ შეგიძლიათ ის საუცხოოდ გადასცეთ ახალგაზრდებს. თქვენი დიდი დამსახურებაა – ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში დაგეარსებინათ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტი და არა მარტო შეგენარჩუნებინათ ის, არამედ მის განვითარებაზეც გეზრუნათ. თქვენ არა მარტო ბევრი ადამიანის ბედი, არამედ ჩემი ბედიც განსაზღვრეთ. თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა, ღვაწლი და პედაგოგიური საქმიანობა უამრავი ადამიანის შთაგონების წყაროდ იქცა!“ – აღნიშნა ლევან გიგინეიშვილმა.

თსუ-ს ემერიტუს პროფესორს იუბილემილოცეს მისმა საერთაშორისო კოლეგებმა. ერთ-ერთი პირველი, ვისი მილოცვაც ლონისძიებაზე გახმაინდა, იყო პირველი საგანგებო და სრულყოფილი ელჩი საქართველოში (დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ) ტასოს კრიეკუისი. მას დიდი წვლილი მიუძღვის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის დაფუძნებაში და ყოველთვის მხარში ედგა ინსტიტუტის დაარსების ორგანიზატორებს.

„ჩვენ გვქონდა ოცდაათწლიანი ლამაზი მოგონებები და საერთო ძალისხმევა იმისათვის, რომ ბერძნული კულტურის ძლიერი და ნათელი არსებობა განმტკიცებულიყო საქართველოში. ინსტიტუტის დაარსება არ იყო მარტივი ნაბიჯი. ეს იყო რთული პერიოდი ქვეყნისთვის. და მაინც, თქვენ ახერხებდით ამ დროსაც მტკიცედ გჭეროდით გეზი სწორი მიმართულებით. თქვენ შექმენით სივრცე, სადაც თაობები დღესაც აგრძელებენ ბერძნული და ქართული კულტურის კვლევას“. მისი სიტყვები გააგრძელა საბერძნეთის ელჩმა საქართველოში ქალბატონმა მარია თეოდორუმ, რომელმაც პირადად მიმართა იუბილარს: „მე შევეხები თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას – კლასიკური

ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის დაარსებას. ეს პროექტი, რომელიც საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში დაიწყო, თითქმის შეუძლებელი და განუხორციელებელი ჩანდა, მაგრამ ის თქვენს აკადემიურ სიმაღლეს, ბერძნული კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ თქვენს სიყვარულს დაეფუძნა. 30 წლის შემდეგ, თქვენი დაუღალავი ძალისხმევის შედეგად, ინსტიტუტი კარგად ცნობილი და პრესტიჟული აკადემიური ინსტიტუტია, რომელიც ბერძნულ ენასა და სულს საქართველოში ცოცხლად ინარჩუნებს“.

გერმანული სამეცნიერო წრეების სახელით რისმაგ გორდების იუბილეს ბრძენის უნივერსიტეტის პროფესორმა ტასილო შმიტმა მიულოცა, რომელმაც ისაუბრა მასზე, არა მხოლოდ როგორც მეცნიერზე, არამედ როგორც ორი ქვეყნის კულტურული ხიდის არქიტექტორსა და მშენებელზე: „მისი სახელი – რისმაგი – ანტიკური კავკასიის სახელია. ეს თითქოს წინასწარმეტყველური ქადაგება იმ გზისა, რომელიც გაიარა. მან ადრევე გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება კულტურებისა და ცივილიზაციების შესწავლისათვის მიეძღვნა. ათწლეულების მანძილზე მან შთაბეჭდვითი მემკვიდრეობა შექმნა, რომელიც თანამედროვე კვლევის ყველაზე აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის საკითხები, რომლებიც კავკასიაში ბერძნულ-რომაულ მემკვიდრეობას ეხმიანება და კავკასიას, როგორც ანტიკური კონინეს ნაწილს, იკვლევს, შეისწავლის და აანალიზებს. რისმაგი ყოველთვის იყო ის ადამიანი, რომელიც მუდამ რჩებოდა მჭიდრო კონტაქტში, რომელიც მუდამ სტუმრობდა იტალიის, გერმანიის და საბერძნეთის კვლევით ცენტრებს და ეს კავშირები ყველაზე რთულ დროშიც კი შეინარჩუნა“, – განაცხადა ტასილო შმიტმა.

მნიშვნელოვანი იყო თსუ-ს მეცნიერების – ელგუჯა ხინთიბიძის, რევაზ გაჩეჩილაძისა და ვალერი ასათიანის შეფასებები იუბილარზე, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რისმაგ გორდების მიერ დაარსებული ინსტიტუტი გადაიქცა არა მხოლოდ კვლევით ცენტრად, არამედ საგანმანათლებლო აკადემიადაც, სადაც მომზადდა თაობები.

კონფერენციაზე ინსტიტუტის ყოფილი და ამჟამინდელი სტუდენტების სახელით სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე თავბერიძე, რომელმაც აღნიშნა:

„ჩვენი ინსტიტუტი რისმაგ გორდების ინტელექტუალურ, პიროვნულ და პედაგოგიურ მემკვიდრეობაზე დგას. ჩვენ ვსწავლობთ სახელმძღვანელოებით, რომელთა ავტორი ან თანაავტორი ბატონი რისმაგია. ყველა ჩვენგანი მის მიერ საფუძველჩაყრილი ტრადიციების გამგრძელებლად ვთვლით თავს“.



შვიქმნება სახელმძღვანელო, რომელიც საქართველოს ნოტარიატის სისტემაში სიახლეს შემოიტანს

6060 ჩარაჰიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა და ნოტარიუსმა ეკატერინე შენგელიამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გრანტი მოიპოვა. მისი სამეცნიერო პროექტის სახელწოდებაა: „ნოტარიუსები ახალი ტექნოლოგიების ერაში“. პროექტის ფარგლებში შეიქმნება სახელმძღვანელო, რომელიც საქართველოს ნოტარიატის სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვას უზრუნველყოფს და ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვას შეუწყობს ხელს.

„იურიდიულ ფაკულტეტზე, უკვე წლებია, ფუნქციონირებს სანოტარო სამართლის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის ეგიდით დღემდე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა. აღნიშნული საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო, ვფიქრობ, სასწავლო და აკადემიური მიზნებით შეტად სანოტაროს და სასარგებლო იქნება, რადგან შესაძლებელია პროექტის შედეგების ინტეგრირება ინსტიტუტის საქმიანობასა და, მათ შორის, სანოტარო სამართლის სასწავლო დისციპლინაში“, – აცხადებს პროფესორი ეკატერინე შენგელია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში.

საგრანტო კონკურსი ინოვაციური სერვისების დანერგვის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივი უსაფრთხოების მიმართულებით მოიცავდა. საქართველოს მასშტაბით გამარჯვებული 8 პროექტიდან ერთ-ერთი – უკვე მეორედ – ეკატერინე შენგელიას ავტორობით წარდგენილი ინიციატივა იყო. პროექტის გუნდის წევრი და სამეცნიერო ასისტენტი სამართლის დოქტორანტი ირაკლი ლეონიძეა.

„ტექნოლოგიური განვითარების გარეშე ნოტარიატის განვითარება წარმოუდგენელია, რადგან თითოეულ ნოტარიუსს სჭირდება ცოდნა და რესურსები მომხმარებელზე მოგვებული სანოტარო მოქმედების განსახორციელებლად, მათ შორის იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომელიც თანამედროვე ეპოქის ყოველდღიურობად გადაიქცა“, – აღნიშნავს პროფესორი ეკატერინე შენგელია. როგორც ის განმარტავს, შექმნილ სახელმძღვანელოში გამოკვლეული იქნება საქართველოს ნოტარიატისთვის აქტუალური ტექნოლოგიური სიახლეები. მნიშვნელოვანია ხაზი გავეუსვათ, რომ სახელმძღვანელო იკვლევს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რისკებს.

პროექტის ხელმძღვანელის თქმით, უკვე დაუკავშირდნენ იტალიის, ესტონეთის, ლატვიის, უნგრეთისა და რუმინეთის ნოტარიუსთა პალატებს და მათთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო. „ვფიქრობ, რომ საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის საქართველოს ნოტარიატის ტექნოლოგიური წინსვლისთვის“, – ამბობს იგი.

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი დარწმუნებულია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის, ნოტარიუსების, პროფესიული და აკადემიური წრის წარმომადგენლების მხარდაჭერით შემუშავებული სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება სანოტარო სფეროს თეორიული და პრაქტიკული განვითარებისთვის.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა**

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგად 140 დელეგატი აირჩიეს

7 83.

**თსუ-ს გუნდმა „წიგნების თაროს“ სატელევიზიო კონკურსში გაიმარჯვა**

ვინ არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო შოუში გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

9 83.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და თავის გამოცდილებას გვაცნობს

**თინათინ ფაიქიძემ ერთი სემესტრი მასარიკის უნივერსიტეტში გაიარა**

11 83.



# სტუდენტური ამბების ქრონიკა



„მზად ვარ ბოლომდე თქვენს გვერდით ვიყო. ეს უნივერსიტეტი თქვენია“, – ასე მიმართა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მე-9 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ახლადარჩეულ წევრებს.

სტუდენტებთან შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა ისაუბრა სასწავლო პროცესზე, სასწავლო გარემოზე, ინფრასტრუქტურულ სიახლეებზე, სტუდენტური პროექტების გაზრდილ დაფინანსებაზე, სხვადასხვა აქტივობებზე.



სტუდენტებმა თსუ-ს რექტორს დაუსვეს კითხვები და ისაუბრეს აქტუალურ და პრობლემურ თემებზე. შეხვედრაზე თვითმმართველობის წევრმა სტუდენტებმა საგამოცდო პროცედურებში გარკვეული ცვლილებების შეტანის საჭიროებაც წამოჭრეს. თსუ-ს რექტორმა დაავალა საგამოცდო ცენტრს, რომ სააკითხის გადანაცვლების მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სტუდენტთა ინტერესები.

ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს შესთავაზა, რომ მსგავსი შეხვედრები გაიმართება პერმანენტულად, სამ თვეში ერთხელ და ამ შეხვედრებზე განიხილება და გადაწყდება ის საკითხები, რომელიც სტუდენტებს აინტერესებთ.

\*\*\*

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ თანამედროვე ლაბორატორიებით, სამედიცინო კვლევებისთვის საჭირო ტექნოლოგიით, ციფრული აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო ცენტრი გახსნა, რომელიც თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე იმუშავებს და თსუ-ს სტუდენტების პროფესიულ და პრაქტიკული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

რექტორის თქმით, თსუ-ს სამედიცინო ცენტრი სასწავლო-პრაქტიკულ სივრცეს წარმოადგენს. „ეს იქნება ჩვენი სტუდენტებისთვის პრაქტიკის მთავარი



ბაზა, რომელიც მათ დაეხმარება გამოიმუშაონ ის უნარები, რომელიც მთავარია მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, მომავალი ექიმებისთვის. აქ წარმოდგენილი თანამედროვე აპარატურა, სიმულაციური ცენტრი არ ჩამოუვარდება მსოფლიოს წამყვანი საუნივერსიტეტო კლინიკების აღჭურვილობას“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

თსუ-ს სამედიცინო ცენტრში იმუშავებს ულტრაბგერითი კვლევის ლაბორატორია, სპირომეტრიის, ელექტროკარდიოგრაფიის, სტომატოლოგიის კაბინეტები.

თსუ-ს სამედიცინო ცენტრში პაციენტებს კონსულტირებას გაუწევენ თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები, სხვადასხვა სპეციალობის ექიმები: კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, გასტროენტეროლოგი, ქირურგი, პულმონოლოგი, რევმატოლოგი და სხვა.

თსუ-ს სტუდენტებისთვის სამედიცინო ცენტრში უახლესი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი სიმულაციური სწავლება წარიმართება. თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან როგორც დიაგნოსტიკურ კვლევებში, ასევე დაეხმარებიან და მონაწილეობას მიიღებენ პაციენტების გასინჯვაში.

თსუ-ს სამედიცინო ცენტრის გახსნას თსუ-ს რექტორის მოადგილე კახაბერ ჭეიშვილი, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი მაია ბინკინაშვილი, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს სტარტაპ სამიტს & სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნულ შეჯიბრებას უმასპინძლა.

ლონისძიებაზე მოსულ სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სიტყვით მიმართა და ისაუბრა იმ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, რომლებსაც ლონისძიების ფარგლებში განიხილავდნენ და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა ამ მიმართულებით.



სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ სტარტაპ სამყაროს, შეხვედროდნენ წარმატებულ ინვესტორებს, მოესმინათ პრეზენტაციები, მონაწილეობა მიეღოთ პანელურ დისკუსიებსა და 10 საუკეთესო ქართული სტარტაპის შეჯიბრებაში. ლონისძიება თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ჩართულობით ჩატარდა.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრანსლაციური ნეირომეცნიერების თანამედროვე აღჭურვილი საუნივერსიტეტთაშორის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია გაიხსნა, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკვლევრებს, სტუდენტებთან ერთად, იკვლიონ ნერვული სისტემის უჯრედული და მოლეკულური მექანიზმების სხვადასხვა ასპექტები.

ლაბორატორია შეიქმნა CIF საგრანტო პროექტის „თანამედროვე ტრან-



სლაციური ნეირომეცნიერების პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი სამედიცინო განათლების სრულყოფის მიზნით“ ფარგლებში.

საუნივერსიტეტთაშორისო ჰაბი მოიცავს 3 უნივერსიტეტს: თსუ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. პროექტის ფარგლებში, უცხოელი ექსპერტების ხელშეწყობით, კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტებისთვის ასევე მომზადდა საუნივერსიტეტთაშორისო სტრუქტურული სადოქტორო პროგრამა – „ტრანსლაციური ნეირომეცნიერება“. სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ დოქტორანტები იმუშავებენ ქართველი და უცხოელი თანახელმძღვანელების მეთვალყურეობით.

ლაბორატორიის გახსნის ლონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ნინო გვენეტაძე, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი მაია ბინკინაშვილი, პროექტის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (WB)“ აღმასრულებელი დირექტორი თამარ სანიკიძე, პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა XIV საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, რომელიც ტრადიციულად ხორციელდება ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ფარგლებში. კონფერენცია კარგა ხანია საუნივერსიტეტო ცხოვრების ისტორიის ნაწილად იქცა. კონფერენციის მიზანი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება იყო.

მრავალპროფილიანი კონფერენცია სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტე-



ბისათვის – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა. კონფერენციისთვის შერჩეული იყო 60 სამეცნიერო მოხსენება 10 უმაღლესი სასწავლებლიდან. გამოიკა, ასევე, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების „მერმისის“ ახალი XII კრებული, რომლის წარდგენაც გაიმართა კონფერენციის გახსნის დღეს. XIV კონფერენციაზე წარმოდგენილი და შერჩეული მასალების ბაზაზე კი მომზადდება და დაიბეჭდება სტუდენტური სამეცნიერო შრომების „მერმისის“ ახალი XIII კრებულიც.

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ და საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პროფესორი თამარ პაიჭაძე.

\*\*\*

თსუ-ს კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების სტუდენტები ფრანგული ენის ერთევიან კურსზე საფრანგეთში გაემგზავრებიან. ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტისა და თსუ-ს კომპიუტერული მეცნიერებების ქართულ-ფრანგული საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთა ჩართულობით, ორეტაპიანი კონკურსის შედეგად გამოვლინდა ორი საუკეთესო სტუდენტი – ნიკა ტალახაძე და ალექსანდრე ჯინჭარაძე.



რომელთაც ენის კურსებზე გამგზავრება სრულად დაუფინანსდება ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის მიერ.

ნიკა ტალახაძე და ალექსანდრე ჯინჭარაძე სწავლას გააგრძელებენ თსუ-ს კომპიუტერული მეცნიერებების ქართულ-ფრანგულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ერთდროულად ორი – თსუ-სა და პარი-საკლეს ევრის უნივერსიტეტის – დიპლომის მიღების შესაძლებლობას.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტუმას უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და პროფესორმა სტეფანო უბერტინიმ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას განათლებისა და მეცნიერების სფეროებში. მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ორმაგი ხარისხის დიპლომი – როგორც თსუ-ს, ასევე ტუმას უნივერსიტეტის.

მომზადა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



# ოსუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა

ენიო ჩარაქიანი

5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მე-9 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. როგორც სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის შექმნილი დროებითი საარჩევნო კომისიის წევრმა გიორგი ოქიტაშვილმა გვითხრა, წელს ხმის მიცემაში ამომრჩეველთა 14.3% ჩაერთო, რაც, მისი თქმით, სხვა წლებთან შედარებით მაღალი აქტივობის დონე და საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

არჩევნების ჩატარების თარიღი ამა წლის 2 მაისის ბრძანებით ჩაინიშნა და, შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის დროებითი საარჩევნო კომისიაც შეიქმნა. საარჩევნო კანდიდატად წარდგენის სურვილი კი 162-მა სტუდენტმა გამოთქვა და რეგისტრაციაც გაიარა. სტუდენტური თვითმმართველობის

არჩევნებში ოსუს შვიდივე ფაკულტეტისა და სამივე საფეხურის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. გიორგი ოქიტაშვილის ინფორმაციით, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ამომრჩევლები იყვნენ ეკონომიკისა და ბიზნესის, ასევე იურიდიული ფაკულტეტებიდან.

არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა და პრობლემები არ გამოვლენილა. „დღემ ექსცესების გარეშე ჩაიარა – არც ერთ საარჩევნო უბანზე არ ყოფილა საჩივარი ან ხარვეზი“, – აღნიშნა კომისიის წევრმა.

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგად 140 დელეგატი აირჩიეს, რომლებმაც 11 ივნისს გამართულ სხდომაზე სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტიც აირჩიეს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა სტუდენტური თვითმმართველობის არჩეულმა პრეზიდენტმა **ლუკა ტაბიძემ**. იგი



სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მე-3 კურსის სტუდენტია. „ჩემი მიზნებია – ოსუს სტუდენტების უფლებათა დაცვა, არსებული პრობლემების მოძიება და მოგ-

ვარება, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება, რაც ითვალისწინებს მაქსიმალურად ბევრ საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული თუ გასვლითი ღონისძიების განხორციელებას. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი საგანმანათლებლო სფეროს კიდევ უფრო მეტად განვითარებაა, რათა სტუდენტებმა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოავლინონ პრაქტიკაში. ჩემთვის აღნიშნულ არჩევნებში გამარჯვება დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს როგორც სტუდენტების, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე“, – ამბობს ლუკა.

ცნობისთვის: სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები უნივერსიტეტში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. წინასწარჩევნოდ კანდიდატები აქტიურ კამპანიას აწარმოებდნენ – ათეულობით კანდიდატმა სტუდენტებთან შეხვედრები გამართა და სამოქმედო გეგმებს გაეცნო.

## მკვლევრებისთვის რა რჩევა გაახმიანა პროფესორმა ვადიმ სტრიელკოვსკიმ ოსუ-ში ვიზიტისას

მაია ბორაძე

3 ოტა ხნის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა პროფესორ ვადიმ სტრიელკოვსკის, რომლის ვიზიტი განსაკუთრებული ყურადღებისა და ინტერესის საგანი გახდა როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ვადიმ სტრიელკოვსკი, რომლის კვლევებს 10,000-ზე მეტი ციტირება აქვს, ცნობილია მსოფლიო სამეცნიერო წრეებში. ის სხვადასხვა დროს იყო ბერკლის, სტენფორდის, პრადის უნივერსიტეტების პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროფესორ თამარ დოლბაიას მოწვევით ესტუმრა.

მეცნიერი ხუთი დღის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ერთობლივად ტარდება პრადის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის (PRIZK) და ოსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით. ლექციები მიზნად ისახავდა დოქტორანტთა და ასალგაზრდა მკვლევართა კვლევითი უნარების გაძლიერებას. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, რის საფუძველზეც დოქტორანტები თავისუფალ კრედიტებს მიიღებენ.

### ინსპირაცია მომავალი მეცნიერებისთვის

ლექციები, რომელსაც ძირითადად დოქტორანტები და მაგისტრანტები ესწრებოდნენ, მოიცავდა ინტენსიურ კურსს სახელწოდებით „კვლევითი ოსტატობის ათვისება: წერა, პუბლიკაცია და საგანმანათლებლო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში“. როგორც პროფესორმა სტრიელკოვსკიმ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში აღნიშნა, მისი მიზანი იყო ახალგაზრდა მკვლევრების დახმარება იმ აუცილებელი ცოდ-



ნისა და უნარების შექმნაში, რომლებიც დღევანდელ გლობალურ და კონკურენტულ აკადემიურ გარემოში აუცილებელი და საჭიროა.

კურსი შედგებოდა ხუთი მოდულისგან:

1. აკადემიური წერისა და პუბლიკაციის პრინციპები;
2. თანამედროვე კვლევითი მეთოდები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში;
3. პუბლიკაცია SCOPUS და WoS ბაზებში;
4. განათლების პოლიტიკა 21-ე საუკუნეში;
5. მეცნიერების მართვა.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამეცნიერო შურნალის შერჩევისა და კვლევითი ნაშრომის აგების სტრატეგიაზე, რაც მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.

ვადიმ სტრიელკოვსკიმ ხაზი გაუსვა „მათეს ეფექტს“ („მათეს ეფექტი“ – სოციალური ფენომენი, რომელიც წარმატების მიღწევის პროპორციებს ადგენს), ანუ იმ ტენდენციას, როდესაც ცნობილ მეცნიერთა ნაშრომები მეტად პოპულარული ხდება და ავტორის მოსაზრებების გავრცელების მეტ შესაძლებლობას

იძლევა. მისი თქმით, სწორედ ამიტომ მართებული – სწორად განისაზღვროს პუბლიკაციის სტრატეგია და შეირჩეს შურნალი.



### ხელოვნური ინტელექტი მეცნიერების სამსახურში

განხილულ თემებს შორის გასაკუთრებით თვალსაჩინო იყო ხელოვნური ინტელექტის, მათ შორის ChatGPT-სა და Scispace-ის კვლევით პროცესში გამოყენების საკითხი. პროფესორის აზრით – „ეს ინსტრუმენტები არ ცვლიან მკვლევრებს, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლებენ მათ ეფექტიანობას – ხდიან შესაძლებელს, სწრაფად გააანალიზონ დიდი მოცულობის ლიტერატურა და ამოიცნონ კვლევითი ხარვეზები“.

### ადგილობრივი კონტაქტი და გლობალური ხელვა

კურსის მიმდინარეობისას პროფესორმა სტრიელკოვსკიმ ხაზი გაუსვა საქართველოსთვის ისეთ აქტუალურ თემებს, როგორებიცაა ქართული ღვინის გლობალიზაცია და მისი უკეთესი გაცნობის აპლიკაციების გამოყენების აუცილებლობა. ეს მაგალითი ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ლოკალურ საკითხებზე გაკეთებულმა კვლევებმა საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინოს სწორად შერჩეული მეთოდოლოგიითა და თემატიკით.

სტრიელკოვსკიმ ხაზი გაუსვა მრავალწლოვან თანამშრომლობას პროფესორ თამარ დოლბაიასთან, რომელიც, მისი აზრით, მაგალითია იმისა, თუ როგორ ამდიდრებს საერთაშორისო თანამშრომლობა კვლევით პროცესს, ავითარებს ახალ ხედვებს და ზრდის აკადემიური ნაშრომების გლობალურ გავლენას.

### გზავნილი მომავალი თაობისთვის

მომავალი მკვლევრებისთვის სტრიელკოვსკის რჩევა მარტივია: „იყავით ცნობისმოყვარენი, იმუშავეთ ინტერდისციპლინურად, ისწავლეთ ტექნოლოგიების გამოყენება, გააგრძელეთ წერისა და კვლევის უნარების დახვეწა და შექმენით საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელები“. მისი თქმით, სწორედ ასეთი მიდგომებით შეიძლება გადალახოს კვლევამ ლოკალური საზღვრები და მოახდინოს ზეგავლენა ფართო სამეცნიერო საზოგადოებაზე.

პროფესორი ვადიმ სტრიელკოვსკის ვიზიტი და მის მიერ ოსუ-ში ჩატარებული კურსი მნიშვნელოვანი იყო ქართული აკადემიური სივრცის ინტერნაციონალიზაციისა და განვითარების პროცესში. დოქტორანტებმა მიიღეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული რჩევები და ერთგვარი გზამკვლევი, თუ როგორ შეიძლება გლობალურ კვლევით გარემოში წარმატებით ინტეგრაცია. ეს იყო კარგი შანსი ახალგაზრდა მეცნიერებისთვის – გააგრძელონ აკადემიური სრულყოფილების გზა.



# ქართული ენის სწავლება ესპანეთში – თსუ-ს პროფესორი მარინე კობეშავიძე საერთაშორისო კურსს უძღვება

6060 ჩარკვიანი

ქართული ენა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ეტაპობრივად იძენს პოპულარობას. ამის თვალსაჩინო მაგალითია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრანადის უნივერსიტეტის თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც ესპანელი სტუდენტებისთვის ქართული ენისა და კულტურის სასწავლო კურსი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ პროექტში კადისის უნივერსიტეტიც ჩაერთო. მათი მხარდაჭერით კურსი არა მხოლოდ გრანადის, არამედ ესპანეთის სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი — სწავლის პროცესი კადისის უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმისა და Moodle-ის პორტალის მეშვეობით მიმდინარეობს.

უკვე მეორე წელია, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე ზემოაღნიშნულ კურსს ონლაინ უძღვება. ის დაინტერესებულ ესპანელ სტუდენტებს ქართულ ენაზე, ლიტერატურასა და ისტორიაზე უკითხავს ლექციებს. პროფესორის თქმით, კურსის შექმნის იდეა 2023 წლის ივლისში, მისი გრანადის უნივერსიტეტში ვიზიტისას გაჩნდა. „თანამედროვე ენების ცენტრის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი, სხვა ენებთან ერთად, ქართულიც დაემატებინათ სასწავლო კურსებში“, – გვიყვება მარინე კობეშავიძე, რომელიც თსუ-ში ესპანისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. იგი აღნიშნავს, რომ გრანადის უნივერსიტეტის სლავური კულტურის ცენტრის კოორდინატორის ნინა კრესოვა-იორდანიშვილის მხარდაჭერით, 2024 წლის მარტში ოფიციალურად დაიწყო პირველი კურსი, რომელიც ამავე სასწავლებლის 4-მა სტუდენტმა აირჩია. მომდევნო წელს კურსი

**უკვე მეორე წელია, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე ზემოაღნიშნულ კურსს ონლაინ უძღვება. ის დაინტერესებულ ესპანელ სტუდენტებს ქართულ ენაზე, ლიტერატურასა და ისტორიაზე უკითხავს ლექციებს.**

გაფართოვდა და მეცადინეობებს უკვე მთელი ესპანეთის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან 10 სტუდენტი ესწრება. პროფესორი მარინე კობეშავიძე განმარტავს, რომ ქართული ენის A1 დონის გაკვეთილების მთავარი მიზანი არის – ქართული ენა შეასწავლოს სტუდენტს სანყის დონეზე. როგორც ის ამბობს, კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტს შეუძლია თავისი პიროვნების, საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ ძალიან მარტივი ენობრივი საშუალებებით ინფორმაციის გადმოცემა. „კურსის მონაწილეები ენას სწავლობენ კომუნიკაციის პროცესში და სხვადასხვა მეტყველების სიტუაციების მოდელირების მეშვეობით. თითოეულ გაკვეთილში განიხილება რამდენიმე ძირითადი გრამატიკული წესი, რომელიც ვითარდება მარტივიდან რთულსაკენ. ზმნებისა და არსებითი სახელების ბრუნვათა მრავალფეროვნება უფრო გასაგები ხდება სტუდენტებისთვის. გაკვეთილებში მოცემული გრამატიკული მასალა გამოსადევია ქართული ენის შემდგომი შესწავლის-



თვის. ქართული ენა რთული, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ენათმეცნიერებითი სამყაროს ნაწილია. მისი სწავლა პირველი ნაბიჯია საქართველოს უძველესი კულტურული ტრადიციების, შესანიშნავი ხელოვნებისა და ლიტერატურის, მისი წარსულისა და აწმყოს უკეთ გასაგებად“, – აღნიშნავს პროფესორი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში. მარინე კობეშავიძეს ვკითხეთ – თურა ძირითად სირთულეებს აწყდებიან ესპანელი სტუდენტები ქართული ენის შესწავლისას. მან კი ასე გვიპასუხა: „ვინაიდან ქართული ენა სრულიად განსხვავებულია ესპანური ენისგან და აბსოლუტურად სხვა ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, ბუნებრივია, სტუდენტებისთვის გამოწვევებიც არის: პირველი სირთულე – ესაა ქართული ენის ბგერითი სისტემა (ფონეტიკა), მათ უჭირთ

ისეთი ფონემების წარმოთქმა, როგორებიცაა: ჭ, ყ, ც, ნ, ქ, ჰ. ასევე რთულია ერგატის (მოთხრობითი ბრუნვის) გაგებაც, სხვა ბრუნვებთან ერთად. რათქმა უნდა, სტუდენტები ცდილობენ მშობლიურ ენასთან გაავლონ პარალელები, თუმცა ეს მათ დიდად არ ეხმარებათ“. პროფესორი მუდამ ცდილობს, რომ სხვადასხვა მარტივი ხერხი და გზა იპოვოს, რომ სტუდენტებისთვის გრამატიკული სტრუქტურები გასაგები გახადოს. საბოლოოდ, ხაზგასასმელია, რომ კურსი გაცნობით ხასიათს ატარებს და 30-საათიან სალექციო ციკლს მოიცავს. იგი განკუთვნილია ყველა სტუდენტისთვის, ვისაც სურს ენის შესწავლა და არ აქვს წინასწარი ცოდნა. ეს ინიციატივა სანყისი ეტაპია, რომელიც მსურველებს სამომავლოდ ქართული ენის უფრო სიღრმისეულად შესწავლისთვის ამზადებს.

## ვორკშოპი – „პოდკასტის წარმოება“

მაია ბორაძე

9-13 ივნისს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ორგანიზებით ჩატარდა ვორკშოპი – „პოდკასტის წარმოება“, რომელსაც გაუძღვა სტრასბურგის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკური განათლების საუნივერსიტეტო ცენტრის (CUEJ) სპეციალისტი **ლორენი მერელი**. გარდა იმისა, რომ ლორენი აღნიშნული უნივერსიტეტის მედიასკოლაში რადიოს კურსს უძღვება, იგი პოლიტიკის სკოლაშიც კითხულობს ლექციებს ევროპული პოლიტიკის განხრით. ამასთან ერთად, ლორენი მერელი დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და მუშაობს ევროპულ სატელევიზიო არხზე ARTE, რომელიც კულტურის თემების გაშუქებაზეა ორიენტირებული.

ფრანგ კოლეგასთან ერთად საზაფხულო სკოლაში იმუშავეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორებმა – თინათინ მაჭარაშვილმა და ნათია სვანიძემ. მენტორების ხელმძღვანელობით „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა ხუთი დღის განმავლობაში იმუშავეს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე და მოამზადეს პოდკასტი „უნიCast-ი“, რომელიც შედგება 7 ეპიზოდისგან: „უმადლესი განათლების ახალი სტრუქტურა“ (ავტორები: მარიამ მაჭარაშვილი, ქეთა



გველესიანი); „განათლების ქვაკუთხედი – ერთიანი ეროვნული გამოცდები“ (ავტორი არმაზ შავიძე); „გაუქმებული თუ ახალგაერთიანებული“ (ავტორები: ნინი აფხაძე, თამთა ნაკუდაძე); „ქართული ენის სავალდებულო სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში“ (ავტორები: მარიამ ვერულაშვილი, ლაშა აფშილაძე); „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ (ავტორები: მარიკა ბოლქვაძე, თათია იაშვალაშვილი); „გენდერი – მომავალი ტაბუ“ (ავტორები: მარიამ ტყეშელაშვილი); „AI და ეთიკური დილემები“ (ავტორი ეთუკა ვასაძე).

13 ივნისს უნივერსიტეტში პოდკასტის პრეზენტაცია გაიმართა. დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი სალომე დუნდუა და ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელი ნათია მსხალაძე. ვორკშოპის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები.



**ფრანგ კოლეგასთან ერთად საზაფხულო სკოლაში იმუშავეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორებმა – თინათინ მაჭარაშვილმა და ნათია სვანიძემ**



# მარიამ უთრუგაშვილი: „მე და თსუ-მ ერთმანეთი ვიპოვეთ“

შარტხია ბაროშვილი

მარიამ უთრუგაშვილი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტია. იგი წარმოშობით ხევსურია და, ამიტომ, მისი ნააზრვეი ხშირად რომანტიკული და პოეტურია... უყვარს თავისი პროფესია და ოცნება, მისთვის უნივერსიტეტი „ნაღებისფერ ალმა-მატერში აღმოჩენილი სიფაქიზა“, რომელიც ასოცირდება მის მდიდარ წარსულთან და ნათელ მომავალთან...



„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ უნივერსიტეტში მოხვედრის პირველივე დღიდან დამეფულა გრძობა – თავისუფლების! პირველივე დღეს ვიგრძენი, რომ ჩემში ჯოისისეული „ცნობიერების ნაკადი“ იღვიძებდა. პირველივე ლექციებზე ჩემი გონება საზღვარდაუდებელმა შთაბეჭდილებებმა მოიცვა. მივხვდი, რომ ეს იყო ადგილი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ვეძებდი. ასე რომ, მე და თსუ-მ ერთმანეთი ვიპოვეთ (ხევსურეთში ვიცით თქმა: „ვინაც იძევს, ხელავსო“ ე.ი. ვინც ეძებს, პოულობს. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა)“, – ამბობს მარიამი.

მისთვის, როგორც სტუდენტისთვის, მნიშვნელოვანია ურთიერთობა ლექტორებთან და მათგან ცოდნის მაქსიმალური მიღება. ამბობს, რომ ამაშიც გაუმართლა: „უნივერსიტეტს ჰყავს მაღალკვალიფიციური, სანდო, საიმედო, გულთბილი, ღირსეული, მეგობრული, „გერგილიანი“ პროფესორები. უკვე მეორე კურსზე ვარ და ინტერაქცია მქონდა უამრავ ლექტორთან, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში. ზოგადად, მჯერა, რომ თითოეული ადამიანი სუფთა, თეთრი ფურცელია... რაც დრო გადის, უამრავი ადამიანი ჩნდება, უამრავ გაერმოში გვინევს ადაპტირება, მრავალ

მომუშავეებს უწყობს ხელს. ჩემი აღმოჩენაა ქალბატონი ნანა გონჯილაშვილი და ქალბატონი ეკატერინე ნავროზაშვილი. მათი შემხედვარე ვრწმუნდები, რომ სამყარო მეტად ლამაზი, სათუთი და ჰუმანურია. არ შემიძლია არ ვახსენო ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე და ქალბატონი თამარ მელიქიძე“.

მარიამი პრობლემებზე საუბარსაც არ გაურბის: „უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მაქსიმალურად მობილიზებული და ორიენტირებული იმისკენ, რომ აღმოიფხვრას და ადეკვატურად გადაიჭრას ყოველი სირთულე. ჩემი აზრით, მეტად ჯეროვანი და ნაკლებად დისკომფორტული იქნება, თუკი შუალედური გამოცდებისთვის განსაზღვრული ერთ კვირიანი გრაფიკი ორ კვირიანით შეიცვლება – ამით შემცირდება არასასურველი ეიფორია, ზედმეტი სტრესი, შფოთვა, სტუდენტები შევძლებთ საფუძვლიანად, გულდასმით მოვემზადოთ გამოცდებისთვის. ვფიქრობ, რომ მეტად კომფორტული იქნება შუალედური გამოცდების წერა უშუალოდ პირველ კორპუსში, სადაც, ძირითადად, ლექცია-სემინარები გვიტარდება და არა მალევე ან ბიბლიოთეკის შენობაში. ასევე ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა აკადემიური რეგისტრაცია, რომელიც საკმაოდ რეგრესულია და უამრავ დაბრკოლებას ვაწყდებით საგნების არჩევის დროს. ვფიქრობ, რომ არსებობს მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები და ყოველივე შესაძლებელია ერთიანობითა და საგანგებო ღონისძიებებით“.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო ცხოვრებას, მარიამი ცდილობს აქტიურად ჩაერთოს ამა თუ იმ ღონისძიებაში და დააგროვოს მეტი გამოცდილება, ცოდნა. იგი აქტიურად მონაწილეობს საჯარო ლექციებზე თუ კონფერენციებში. მისთვის უდიდესი მოტივაციაა, რომ უკვე მესამედ გახდა სტიპენდიანტი და

ორჯერ მოხვდა დუშეთის მუნიციპალიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამაში. „მოულოდნელი სიხარული იყო, როდესაც ჯერ კიდევ პირველ კურსზე თსუ-ს გამორჩეულ სტუდენტ-მკითხველად დამასახელეს და მივიღე საპატიო სიგელი და მრავალი საინტერესო საჩუქარი. მოხარული ვარ, რომ თსუ-ს „მეგობართა კლუბის“ წევრი ვარ... სწორედ ამ საოცარი ბავშვების ორგანიზებით ჩატარდა ოთარ ჭილაძის პოეზიის საღამო, რომელმაც საოცარი ემოციები დაინახა. საგულბისხმოა, რომ ჩემმა თანაკურსელებმა დააარსეს „თსუ-ს ფილოლოგთა კლუბი“. ჩვენი პირველი ღონისძიება 8 აპრილს შედგა, გაიმართა ელგუჯა ხინთიბიძის საჯარო ლექცია – „საუბრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის სიყვარული“. 3 ივნისს გაიმართა რევაზ სირაძის ხსოვნის საღამო, რომელზეც ჩვენი უნივერსიტეტის დამსახურებულმა პროფესორებმა გაიხსენეს ბატონი რეზოს ცხოვრება, მათი მეგობრობა, ეს დღე მართლაც შთამბეჭდავი იყო. ივნისის თვეში ჩემს კურსელებთან ერთად დავლაშქრე თრუსოს ხეობა, მოვინახულეთ: ქასარას კანიონი, თრუსოს ფერადი ტრავერტინები, ნასოფლარი კეთრისი, აბანოს დედათა მონასტერი, ზაქაგორის დიდებული ციხე და უძირო ტბა, დაგვემილი გვაქვს ჯუთას მონახულება... მინდა ყოველი დღე დაუვიწყარი, თბილი და ნათელი იყოს. სამომავლო გეგმებზე საუბარი არ მიყვარს, ზედმეტად არც მომავალზე ვფიქრობ და ვცდილობ, აბსოლუტურად შევიგრძნო და მადლიერი ვიყო ყოველი დღის. რაც შეეხება ჩემს ინტერესს, აღფრთოვანებული ვარ ძველი ქართული ლიტერატურით, ანტიკური ლიტერატურითა და კომპარატივისტიკით. დრო გვიჩვენებს, რომელ გზას დავაგდებ და რომელი იქნება ჩემთვის მეტად ოპტიმალური“, – ამბობს მარიამი.

## თსუ-ს გუნდმა „ნიგნების თაროს“ სატელევიზიო კონკურსში გაიმარჯვა

წიგნების თარო

6060 ჩარაპინი

თსუ-ს სტუდენტებისგან შემდგარმა გუნდმა სატელევიზიო პროექტ „ნიგნების თაროს“ მე-13 სტუდენტურ სეზონში გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების რიგით მე-6 გამარჯვებაა პროექტში.

2024 წლის გაზაფხულზე თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ნიკა სიჭინავამ და მარიამ ხაზალიამ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ გიორგი ხაინდრავასთან ერთად გუნდი „აბერტო“ შექმნეს. პირველ ცდაზე ნახევარფინალში გამოეთიშნენ კონკურსს, თუმცა მომდევნო სეზონში უკვე განახლებული ძალებით დაიწყეს ასპარეზობა, ფინალში კავკასიის უნივერსიტეტის გუნდი „კარატიდა“ დაამარცხეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს – სწავლა დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში.



ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების რიგით მე-6 გამარჯვებაა პროექტში.

გამარჯვებულმა სტუდენტებმა თავიანთი მიღწევის შესახებ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ ისაუბრეს. „ვფიქრობ, კემბრიჯი ის ადგილია, სადაც სტუდენტი რეალურად გრძობს, რომ აკადემიის ნაწილია. როგორც ჩემი კურსდამთავრებული მეგობრებისაგან მსმენია, საზაფხულო სკოლაში სწავლების პროცესი დინამიური და სახალისოა. ლექტორები სტუდენტებს არა მხოლოდ საგნის უკეთ ათვისებაში, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაში უწყობენ ხელს, როგორებიცაა საჯარო გამოსვლა, დებატები და ინტერკულტურული კომუნიკაცია. მოუთმენლად ველოდები დაგვემიღებ ექსპერსიებსა და, რასაკვირველია, კემბრიჯის სავიზიტო ბარათს – მდინარე კემზე ნავით სეირნობას. ამრიგად, ვიმედოვნებ, რომ კემბრიჯში გატარებული დღეები ოქროს ასოებით ჩაინერება ჩემს მეხსიერებაში“, – აღნიშნავს მარიამ ხაზალია.

საინტერესოა ის გრძელი გზაც, რომელიც ახალგაზრდებმა მთავარ პრიზამდე გაიარეს. მთელი სეზონის განმავლობაში „აბერტომ“ ოთხი გამარჯვება მოიპოვა – მერვედფინალში, მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში. გუნდის თითოეულ წევრს მანამდეც ჰქონდა „ნიგნების თაროში“ თამაშის გამოცდილება – როგორც სასკოლო, ისე სტუდენტურ სეზონებში. როგორც თავად ამბობენ, გუნდურობა, გამოცდილება და შრომა ის მთავარი ფაქტორებია, რამაც მათი გამარჯვება განაპირობა.

„ამ დიდი დროის განმავლობაში, რაც ერთად ვთამაშობთ, განსაკუთრებულად შევთამაშდით და უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. ძალიან ინტენსიური განხილვები გვქონდა, რომლებსაც ძირითადად სწორ პასუხამდე მივყავ-

დით. ვფიქრობ, ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდი ვართ. სამივე განსხვავებული სტილით ვთამაშობთ, სხვადასხვა სიძლიერე და სისუსტე გვაქვს. ამ ყველაფრის შერწყმამ გამოიწვია, რომ ვიბრძოდით ყველა ქულის მოსაპოვებლად“, – ასე აფასებს ნიკა სიჭინავა თავის გუნდს.



# გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტთა საინტერესო წამოწყება



ენო ხაუალია

2024 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტებმა სათავე დაუდეს ძალიან კარგ წამოწყებას – მათ მიზნად დაისახეს საქართველოს კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა და კარტოგრაფირება (რეგიონების მიხედვით). მათ გასულ წელს გამარჯვებს სტუდენტური პროექტების კონკურსში. პროექტი ეხება რაჭის რეგიონს. სტუდენტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი **საბა მოდებაძე**, ხოლო კვლევებს (მენტორის სტატუსით) საერთო კოორდინირებას უწევს თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი **თენგიზ გორდეზიანი**.



პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სტუდენტური ექსპედიციის ჩატარება ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში. კვლევა კომპლექსურ ხასიათს ატარებდა და მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: ლანდშაფტმცოდნეობა, კარტოგრაფია, ეთნოგეოგრაფია, ტოპონიმია, ეკოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, დისტანციური ზონდირება, ტოპოგრაფია. მეორე მენტორად მოწვეული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ლაოშვილი. სავსე ტოპოგრაფიის მიმართულებით ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ს დოქტორანტი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გოჩა გუშუაძემ, რომელმაც სავსე პირობებში სტუდენტებს ჩაუტარა მასტერკლასი გარემოში ტოპოგრაფიული ორიენტირების მიმართულებით. ექსპედიციის შემდგომ სამუშაოებში – ზოგადგეოგრაფიული კარტოგრაფიული საფუძვლების მომზადებაში სტუდენტებს ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის დოქტორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **თედო გორგოძე**.

მენტორებისა და ხელმძღვანელების დახმარებით სტუდენტებმა მოამზადეს 10 სამეცნიერო სტატია, რომლებიც მოიცავს რაჭის კომპლექსურ-გეოგრაფიულ კვლევას და კარტოგრაფირებას. სავსე კვლევებმა მოიცვა რაჭის შემდეგი არეალები: მდინარე რიონის ზემონელი, კურორტ შოვის მიდამოები, მრავალძალის შემოგარენი, მდინარე ლუხუნისწყალის ხეობა, მდინარე რიციულას ხეობა, შაორის ქვაბული, ცხრაჯვარის მიდამოები, საირმის სვეტების მიდამოები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა საქვეყნოდ ცნობილი გეოგრაფისა და კარტოგრაფის ნიკო ბერუჩაშვილის ავტორობით გამოცემული 1:1000 000 მასშტაბის კავკასიის ლანდშაფტური რუკა, ასევე გეოლოგიური რუკის პლან-



შეტები. აღნიშნული სტუდენტური პროექტის ერთგვარი დაგვირგვინება იყო მიმდინარე წლის 22 მაისს თსუ-ს პირველი კორპუსის 115-ე აუდიტორიაში გამართული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე შედგა ზემოთაღნიშნული სავსე კვლევების შედეგად გამოცემული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულის – „რაჭის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა და კარტოგრაფირება“ – პრეზენტაცია. კონფერენციაზე მენტორების გარდა მოხსენებები წარმოადგინეს სტუდენტებმა: საბა მოდებაძემ, ქეთევან ავსაჯანიშვილმა, ხატია ყველაშვილმა, ილია ქავთარაძემ, თორნიკე ხაჩიძემ, ირაკლი იარაჯულმა, სოფია შაროიანმა, ლამარა ლაგვილაძემ, თათია ჯაფოშვილმა, ნიკა რომანაძემ, ჯონი მაქაცარიამ, ქეთევან ჭანკვეტაძემ, ნინო ხუფენიამ, კონსტანტინე გელანტიამ, ნუნუ ტოგონიძემ, ნია კანდელაკმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, პროფესორი ზურაბ ლაოშვილი, დოქტორანტი გოჩა გუშუაძე

და ასოცირებული პროფესორი თენგიზ გორდეზიანი. სტუდენტებს თბილად მიმართა რექტორმა ჯაბა სამუშიამ. მან სტუდენტებს აღუთქვა დახმარება მომავალი კვლევების ჩატარებასა და გამოცემების საქმეში. რექტორმა გაიხსენა პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი და ხაზი გაუსვა მის წვლილს ქართული გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერებების განვითარების საქმეში. კონფერენციის ესწრებოდნენ ნიკო ბერუჩაშვილის მეუღლე, გეოგრაფიის დოქტორი ნელი ჯამასპაშვილი და გეოგრაფიის დოქტორი მანანა შარაშენიძე. კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის ყველა კურსის სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა. სტუდენტთა მიერ წარმოდგენილმა პრეზენტაციებმა დამსწრე პროფესორ-მასწავლებელთა დიდი მონაწილეობა დაიმსახურა. კონფერენციის დასასრულს, ასოცირებულმა პროფესორმა თენგიზ გორდეზიანმა აღნიშნა, რომ მომავალში ასეთი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები საერთაშორისო მასშტაბსაც შეიძენს.

## ნინო გორხელაშვილმა საკუთარი წარმატების ისტორია კონფერენციებში მონაწილეობით შექმნა

შურთხია ბაროშვილი

ნინო გორხელაშვილი მალე დაამთავრებს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავა. წარმატებისთვის ნინო ბევრს შრომობს, რადგან, მისი აზრით, საფუძვლიანი ცოდნის მისაღებად ბევრი წინააღმდეგობის და ბარიერის გადალახვაა საჭირო. „ისტორია ჩემთვის ყოველთვის მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალოდ თარიღები და მოვლენები – ეს იყო გზა, რომ გამეგო, როგორ ჩამოყალიბდა სამყარო, საზოგადოებები და თვითონ ადამიანი. სწორედ ამიტომ, დიდი ხნის მანძილზე მინდოდა ისტორიის პროგრამაზე სწავლა და, როცა არჩევანის წინაშე დავდექი, თსუ ამ მხრივ საუკეთესო არჩევანი აღმოჩნდა. უნივერსიტეტი, რომელიც ცნობილია თავისი მდიდარი ტრადიციებით, აკადემიური მემკვიდრეობითა და მრავალფეროვანი გარემოთი, დამეხმარა ჩემი ინტერესები სიღრმისეულად გამემდიდრებინა. აკადემიური ცოდნის გარდა, აქ მომეცა შესაძლებლობა – დამეფასებინა კრიტიკული აზროვნება, დიალოგი და განსხვავებული შეხედულებების მნიშვნელობა. თუმცა, რაც ყველაზე ღირებულია – აქ შევხვდი ადამიანებს, რომლებიც დღემდე ჩემთან არიან: მასწავლებლები, რომლებიც ინსპირაციის

სამომავლოდ ნინო გორხელაშვილი მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას კვლავ თსუ-ში აპირებს, შემდგომში კი უნდა, რომ თავისი პროფესიით დასაქმდეს.



წყაროდ იქცენ; მეგობრები, რომლებთან ერთადაც ვიზრდებოდი. ეს ურთიერთობები გახდა ჩემი უნივერსიტეტის ყველაზე დიდი მონაპოვარი. თსუ ჩემთვის არ არის მხოლოდ ადგილი, სადაც ცოდნა მივიღე, ის ჩემი სამყაროს ნაწილი გახდა“, – ამბობს ნინო. საყვარელი ლექტორებიც ჰყავს – განსაკუთრებით ემადლიერება **მიხეილ ბახტაძეს** და **აპოლონ თაბუაშვილს**. მისი თქმით, გარდა იმისა, რომ ამ პროფესორების დახმარებით კონკრეტული საკითხები შეისწავლა, სწორედ მათ მისცეს მაგალითი, თუ როგორ უნდა დაძლიო პროფესიული სირთულეები. როდესაც მისი საკუთარი წარმატების ისტორიაზე ვკითხეთ, ნინო გორხელაშვილმა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის პერიოდები გაიხსენა და აღნიშნა: „ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე-

ებობა იგივე პერიოდს („დავით VIII-ის ურთიერთობა ილხანთა საყაენოსთან და მისი შედეგები“). ეს თემატიკა იმიტომ ავირჩიე, რომ საქართველოს ისტორია ყოველთვის მაინტერესებდა. ვფიქრობ, XIII საუკუნის ბოლო წლები და XIV საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი იყო საქართველოში. ამ დროს განვითარდა ისეთი მოვლენები, რომლებმაც განსაზღვრა მაშინაც და მომდევნო პერიოდშიც ქვეყნის საშინაო მდგომარეობა. ამ დროს იქმნება ისეთი პრეცედენტები, რომლებიც მანამდე საქართველოში არ არსებობდა და ეს, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ზრდის ინტერესს საკითხის მიმართ. ამჟამად ნინო საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობს. მისი თემა ეხება „მრავალმეფიანობის“ პერიოდს, რომელიც XIII საუკუნის ბოლოს დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოში. ეს საკითხი მას პირველი კურსიდან აინტერესებდა და სხვადასხვა დროს მოხსენება და სტატიაც დაწერა აღნიშნულ თემაზე, რამაც საბოლოოდ მიახვედრა, რომ მომავალშიც უნდა გაეგრძელებინა ამ პერიოდზე მუშაობა. სამომავლოდ ნინო გორხელაშვილი მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას კვლავ თსუ-ში აპირებს, შემდგომში კი უნდა, რომ თავისი პროფესიით დასაქმდეს.

# თინათინ ფაიქიძემ ერთი სემესტრი მასარიკის უნივერსიტეტში გაიარა

ენიო ჩარაჰიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტმა თინათინ ფაიქიძემ ერთი სემესტრი ჩეხეთში, მასარიკის უნივერსიტეტში ისწავლა. იგი ევროპული სამართლის ისტორიასა და ფილოსოფიას გაეცნო და გაიარა საგნები ევროპის კიბერსამართლის, პერსონალური მონაცემების დაცვის, საგადასახადო და შედარებითი სამართლის შესახებ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან საზღვარგარეთ მიღებულ განათლებაზე მოსაზრებები და შეფასებები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ გაუზიარა.



დის პროფესორები ჰყავდათ ჩამოყვანილი“, – იხსენებს სტუდენტი.

სანამ მასარიკის უნივერსიტეტში სწავლას დაიწყო, თინათინმა, სტანდარტულად, საგნების არჩევის ეტაპი გაიარა. მისი თქმით, უნივერსიტეტს მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდა და სილაბუსებს ყურადღებით გაეცნო. სურდა, რომ ისეთი საგნები გაეარა, რომელიც მის მშობლიურ უნივერსიტეტში არ ისწავლებოდა. როდესაც მის ფავორიტ სასწავლო კურსებზე ვკითხეთ, ასე გვიპასუხა: „ჩემთვის გამორჩეული იყო საგნები კიბერსამართლისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით, რამაც ისე დამაინტერესა, რომ მაგისტრატურაზე სწავლის გასაგრძელებლად უკვე ჩამოვყალიბდი – თუ

იქ გატარებულმა დრომ მართლა ბევრ რამეზე დამაფიქრა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და სასარგებლო გამოცდილება, რომელმაც მასწავლა, როგორ მეცხოვრა უცხო გარემოში და როგორ მქონოდა საკუთარი თავის და შესაძლებლობების იმედი.

თინათინ ფაიქიძეს თსუ-სა და მასარიკის უნივერსიტეტის ერთმანეთთან შედარება ვთხოვეთ. „თსუ-ს ნამდვილად დიდ პატივს ვცემ და ვფიქრობ, რომ მას თავისი ძლიერი მხარეები აქვს, თუმცა ჩეხეთის უნივერსიტეტში სწავლის პროცესი, აკადემიური გარემო და სტუდენტებთან მუშაობის სტილი ბევრად უფრო მაღალ დონეზე იყო“, – აღნიშნავს რესპონდენტი. მისი შეფასებით, ძალიან მოსახერხებელი იყო იქაური უნივერსიტეტის ციფრული პლატფორმა, სადაც მასალები, ლექციები და დავალებები იტვირთებოდა. თინათინი ხაზს უსვამს, რომ ლექციებზე სტუდენტების რაოდენობა შედარებით მცირე იყო, რაც და-

დებითად მოქმედებდა სწავლის პროცესზე (ინდივიდს უფრო მეტ დროს უთმობენ).

გასული თვეების განმავლობაში ჩვენს რესპონდენტზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ადგილობრივების დამოკიდებულებამ დატოვა. ხშირად ესმოდა სტერეოტიპული მოსაზრებები, რომ ჩეხები თითქოს ცივი და არაკომუნიკაბელური ხალხია, რეალურად კი სრულიად საპირისპირო გარემო დახვდა – მას თავიდანვე ყველგან თბილად და მეგობრულად შეხვდნენ. თინათინი ჩეხეთს მონესრიგებულ და ორგანიზებულ ქვეყნად ახასიათებს. „ეს დისციპლინა ყოველდღიურობაში კომფორტს ქმნიდა და ყველაფერი უცნაურად სასიამოვნო იყო“, – გვითხრა თინათინმა.

ბოლოს თინათინს ვკითხეთ – თუ რა ისწავლა და რას გამოარჩევდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილებიდან: „იქ გატარებულმა დრომ მართლა ბევრ რამეზე დამაფიქრა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და სასარგებლო გამოცდილება, რომელმაც მასწავლა, როგორ მეცხოვრა უცხო გარემოში და როგორ მქონოდა საკუთარი თავის და შესაძლებლობების იმედი“.



## სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენცია – „ენა და კულტურული იდენტობა“

შურთხია ბაროშვილი

29 მაისს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ორგანიზებითა და თსუ-ს ბიბლიოთეკასთან ერთობლივი თანამშრომლობით სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ენა და კულტურული იდენტობა“ გაიმართა. კონფერენციის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები იყო: ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, ქართული დიალექტოლოგია, უდაბნოლოგო ქართველური ენები: მეგრული, ლაზური, სვანური, ქართველური ლექსიკოლოგიისა და ონომასტიკის საკითხები, ქართული პალეოგრაფია, კოდიკოლოგია, ტექსტოლოგია და ციფრული არქივები და მონაცემთა ბაზები.



რებული იყო – მასში მონაწილეობა მიღებულ სამივე საფეხურის სტუდენტებს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ორივე თვალსაზრისით მრავალფეროვანი და საინტერესოა. აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენცია ტარდება თსუ-ს ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით. პროგრამას შინაარსობრივად ამდიდრებს ისიც, რომ მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ შეხვდნენ და დაესაუბრონ იაპონელ ენათმეცნიერ-ქართველოლოგსა და მთარგმნელს იასუჰირო კოჯიმას, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის ალზრდილიც არის. იგი წლების წინ აქ სწავლობდა დოქტორანტურაში, თსუ-ში ასწავლიდა იაპონურ ენას, იაპონურ ლიტერატურას და ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრა ამ კუთხითაც საინტერესო და დასამახსოვრებელი იქნება“, – აღნიშნა კონფერენციის გახსნაზე დარეჯან თვალთვაძემ.

როგორც ქართული ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესორმა

რამაზ ქურდაძემ განაცხადა: „დღევანდელ კონფერენციას წელს ჩაეყარა საფუძველი, თუმცა, ამის შემდეგ ყოველწლიურად გაიმართება და ტრადიციად იქცევა. ზოგადად, ამ ტიპის ღონისძიებები სტუდენტებს აჩვენებს სამეცნიერო საქმიანობის რთულ, მაგრამ აუცილებლად გასავლელ ეტაპებს და აძლევს პრობლემური საკითხების ახლებურად გააზრების შესაძლებლობას. ჩვენი ძალიან მძიმე მიმართულია იქითკენ, რომ დავაინტერესოთ ისინი ამ მიმართულებით“, – აღნიშნა რამაზ ქურდაძემ.

კონფერენციაზე 22 სტუდენტმა წარმოადგინა 14 სამეცნიერო მოხსენება – ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შედეგები. სექციური მუშაობის დროს სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მსჯელობდნენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: სატელევიზიო რეკლამის ენა, აჭარული და გურული დიალექტური მეტყველების თავისებურებანი, ლინგვისტური ექსპედიციის მნიშვნელობა ქართველური

ენების სწავლების დროს და სხვ. მაია ლომიას ინფორმაციით, ღონისძიების მესამე ნაწილი დაეთმო შეხვედრას იაპონელ სტუმართან **იასუჰირო კოჯიმასთან**. „იასუჰირო კოჯიმა დიდხანს თანამშრომლობა აკავშირებს საქართველოსთან, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. 2019 წელს გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისათვის მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი გადაეცა. იასუჰირო კოჯიმა წლებია აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციას იაპონიაში. გასულ წელს იაპონიის ელჩმა მას პირადად გადასცა სიგელი იაპონიასა და საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობასა და მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის. ბატონი კოჯიმა აქტიურადაა დაკავებული მთარგმნელობითი საქმიანობით: 2004 წელს ტოკიოში გამოსცა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ეს იყო ქართულიდან იაპონურ ენაზე პირდაპირ თარგმნილი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები. იაპონელი მკითხველი კარგად იცნობს 2018 წელს ერთ წიგნად გამოცემულ ვაჟა-ფშაველას პოემებსა და მოთხრობებს: „ალუდა ქეთელაურს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „გველის-მჭამელს“, „შვლის ნუკრის ნაამბობს“, „ვერხვს“, „ჩიკვათა ქორწილს“. ცოტა ხნის წინ მან დაასრულა მუშაობა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაზე“. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთხელ ჩატარდა იაპონიაში ქართული კინოს დღეები. შეხვედრა თბილად და სასიამოვნო გარემოში წარიმართა. სტუმარმა უპასუხა სტუდენტებისა და კოლეგების შეკითხვებს და მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს მონაწილეობისთვის“, – განაცხადა მაია ლომიამ.



სტუდენტური აქტივობა

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაზაფხულის სემესტრში გაიმართა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი „Liga tsu“, რომელშიც 500-მდე სტუდენტმა მიღო მონაწილეობა.

მინი ფეხბურთის ჩემპიონატის „Liga tsu“-ს გამარჯვებული ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის გუნდი „გურა“ გახდა. მეორე ადგილი დაიკავა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდმა „ფრონტი“; მესამე ადგილი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდმა „მერიდიანი“.




თსუ-ს ბიბლიოთეკის ორგანიზებით ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზიარო ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მცირე სომჯახო ტიპის სახლებისა და სკოლა-პანსიონის ალსაზრდელებმა, ასევე კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

ღონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია დაესწრო და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა. მან ხაზი გაუსვა, რომ თსუ მუდამ მზად არის მხარი დაუჭიროს ინიციატივებს, რომლებიც ბავშვების განათლებასა და განვითარებას უწყობს ხელს.

ღონისძიების ფარგლებში ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა ქიმიისა და ფიზიკის სახალისო ცდაებში, ჩართულიყვნენ იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში სპეციალურად მოწყობილ ქვიშის მოედანზე და აღმოეჩინათ დამალული არტეფაქტები. ისინი, ასევე, გააცნენ კალიგრაფისტიკის ნაშუშევრებს და ჩაართნენ მრავალფეროვან შემოქმედებით და საგანმანათლებლო აქტივობებში. საცეკვაო ნომრები წარმოადგინეს ჭონოელიკეების სტუდიის პატარა მსახიობებმა და Lan'Art-ის ბალერინებმა. ღონისძიების პატარა სტუმრებსა და მონაწილეებს ლოკო-მოკო გაუმასპინძლდა.



# ირმა რატიანის ახალი წიგნი – „დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით“



მაია ბორაძე

ცოტა ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა ახალი წიგნი – „დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით“. წიგნის ავტორია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, შედარებით ლიტერატურის ქართული ასოციაციის პრეზიდენტი ირმა რატიანი.



წიგნის დაწერის იდეა დაიბადა თითქმის თხუთმეტი წლის წინ, როდესაც წიგნის ავტორმა ორგზის მოიპოვა კემბრიჯის უნივერსიტეტის სტიპენდია და ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა კემბრიჯში, პიტერჰაუსის კოლეჯში (დრამისა და თეატრის ისტორიის პროფესორის ჯენიფერ უოლესის მიწვევით). ბრიტანულ და ევროპულ მასალაზე მუშაობის შედეგად ჩაისახა ქართულ დრამატურგიულ ტრადიციასა და მის ლიტერატურათმცოდნეობით მნიშვნელობაზე ნაშრომის შექმნის იდეა. წიგნის სათაური გამოხატავს ავტორის მიზანდასახულობას, რომ სათაურშივე ცხადდეს იმ ქართული ტექსტების ჩართულობა დრამის პოეტიკის ზოგადსაერთაშორისო კანონში, რომლებიც აკმაყოფილებს დრამის ფუნქციის მოთხოვნებს და, ამავე დროს, აღავსებს მას ორიგინალური ქართული შინაარსით.

წიგნი მიზნად ისახავს დრამის დრამატურგიისა და დრამის თეორიის განვითარების მხოლოდ იმ ეტაპების გამოკვეთას, რომლებმაც გარკვეული კვალი ქართულ ლიტერატურასა და დრამატურგიასაც დააჩნია, და, შედეგად, შეიქმნა ტექსტები, რომელთა ნაკითხვაც შესაძლებელია საერთაშორისოდ აღიარებული თეორიული მეთოდოლოგიების ქრილში.

ქართული მასალის თვალსაზრისით, წიგნი მოიცავს კვლევას 1860-იან წლებიდან 1960-იან წლებამდე და, შესაბამისად, მასალა ნაკითხულია იმ მნიშვნელოვანი ევროპული ლიტერატურულ-დრამატურგიული ტრადიციების ქრილში, რომელთაც, ავტორის აზრით, ის ლოგიკურად მიემართება. მათ შორისაა: დრამის ანტიკური, კლასიციზტური, განმანათლებლური, რომანტიკული, რეალისტური და მოდერნისტული ტრადიციები, სადაც, თავის მხრივ, გამოკვეთილია თანაგრძობის თეატრი, ლიბერალური დრამა, აბსურდის თეატრი, პოლიტიკური თეატრი და დრამატურგიული დისკურსის სხვა შრეები.

ამასთანავე, წიგნში განხილულია დრამატური ტექსტების კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიები, რომლებიც, ეპოქებისა და კონტექსტებისდა მიხედვით, ინერგებოდა ჰუმანიტარული აზროვნების სფეროსა და ლიტერატურათმცოდნეობაში, და, რომლებიც, ავტორის აზრით, ამავე ფუნქციის ქართული ტექსტების ნაკითხვის სწორ სტრატეგიებსაც წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით წიგნში განხილულია პლატონის, არისტოტელის, შიკელის, ნიცშეს, ფროიდის, კამიუს, ჟირარის თეორიები და ქართული ლიტერატურულ-დრამატურგიული მასალის ინტერპრეტაციაც განხორციელებულია აღნიშნული მეთოდოლოგიების ქრილში.

წიგნის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ავტორის პოზიცია, რომლის

თანახმადაც, ქართული ორიგინალური პიესების ნაკლებობა ქართულ მწერლობაში კომპენსირებულია, ერთი მხრივ, გადმოკეთებული პიესებით, ხოლო, მეორე მხრივ, ორიგინალური ქართული პროზაული ტექსტებით, რომლებიც დრამის სტრუქტურულ ქარგაზე და ხერხებზეა აგებული და შეესაბამება ჰიბრიდული ფუნქციის სტატუსს. ჰიბრიდული სტრუქტურის მქონე პროზაულ ტექსტებს წიგნის ავტორი პირობითად, სამუშაო ტერმინით, უწოდებს დრამატურგიულ პროზასდაქართული მწერლობის ერთ-ერთ სპეციფიკურ მართულებად მიიჩნევს. შესაბამისად, წიგნში განხილულია როგორც ორიგინალური და გადმოკეთებული პიესები – შექმნილი და დამუშავებული ქართველი დრამატურგების მიერ, ისე – ჰიბრიდული ფუნქციის ნიმუშები, ანუ დრამის სტრუქტურის მქონე პროზაული ტექსტები, პირობითად – დრამატურგიული პროზა, რომლებიც, ავტორის აზრით, როგანულად იკითხება დრამის თეორიის კონტექსტში არისტოტელეს პოეტიკიდან ვიდრე რენე ჟირარის თეორიამდე, მათ შორისაა: გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, დავით ერისთავის, დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის, პოლიკარპე კაკაბაძის და სხვ. პიესები, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გურამ რჩეულიშვილის და სხვ. დრამატურგიული პროზის ნიმუშები.

წიგნის ავტორის აზრით, ტექსტების ნაკითხვების/ინტერპრეტაციების მრავალფეროვნება საშუალებას მოგვცემს:

- კვლევის საერთო მეთოდოლოგიის გამოყენებით, თანაბარ სიბრტყეზე განვათავსოთ სხვადასხვა ეპოქებსა და კულტურულ კონტექსტში შექმნილი დრამატურგიული და ლიტერატურული ტექსტები;
- დაველიოთ ნაციონალური საზღვრები და გავამთლიანოთ ტექსტები კონკრეტული დრამატული ფუნქციის ქუდქვეშ;

წიგნი მიზნად ისახავს დრამის დრამატურგიისა და დრამის თეორიის განვითარების მხოლოდ იმ ეტაპების გამოკვეთას, რომლებმაც გარკვეული კვალი ქართულ ლიტერატურასა და დრამატურგიასაც დააჩნია, და, შედეგად, შეიქმნა ტექსტები, რომელთა ნაკითხვაც შესაძლებელია საერთაშორისოდ აღიარებული თეორიული მეთოდოლოგიების ქრილში.

- შევქმნათ კულტურათაშორისი დიალოგისათვის ხელსაყრელი გარემო;
- დავასაბუთოთ, რომ ქართული დრამატურგია და დრამატურგიული პროზა ევროპული დისკურსის ნაწილი და აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია.
- ნაშრომი, ავტორის სხვა მონოგრაფიების მსგავსად, ინტერდისციპლინური ხასიათისა და გამოირჩევა თეორიული სიახლეებითა და ინტერტექსტუალური ნიადაგებით.

წიგნი მხატვრულად გააფორმა ბესიკ დანელიამ; ფოტომასალა წიგნის ავტორს მიანოდეს საქართველოს ხელოვნების სასახლემ, გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტმა“, თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა, აგრეთვე – კერძო პირებმა. წიგნი გამოსაცემად მოამზადა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო გუნდმა (რედაქტორები: პროფ. მაკა ელბაძე, პროფ. გაგა ლომიძე; რეცენზენტი: ფ.დ. თამარ ციციშვილი).

წიგნი გაიყიდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში.

# სამწლიანი წარმატებული თანამშრომლობა შტუტგარტის უნივერსიტეტთან: ციფრული მეთოდები, საერთაშორისო გამოცდილება და მომავლის გეგმები

გაცვლითი პროგრამა

მაია ბორაძე

უკვე მესამე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონკრეტულად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმატებით თანამშრომლობს შტუტგარტის უნივერსიტეტთან. ეს თანამშრომლობა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის სახეს ატარებს და ყოველწლიურად ახალ შინაარსსა და ფორმას იძენს. პროექტის მთავარი ფოკუსი განათლების სფეროს ორი მიმართულებაა: განათლების ფსიქოლოგია, რომელსაც პროფესორი მზია წერეთელი ხელმძღვანელობს და პროფესიული განათლება, რომელსაც ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე უდგას სათავეში. პროგრამა სრულად ეყრდნობა ციფრული მეთოდების სწავლებისა და სწავლების პროცესში გამოყენების პრინციპებს.



წიგნი, პროფესორი მზია წერეთელი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ პროგრამის მიმდინარეობასა და მომავლის გეგმებზე ესაუბრა.

როგორც მზია წერეთელი აღნიშნა, პროექტის განხორციელება თავდაპირველად პროფესორ ბერნ ცინის თსუ-ში ვიზიტით დაიწყო. ის ჩამოვიდა თბილისში თავის დოქტორანტთან ერთად და ამ შეხვედრიდან გაჩნდა იდეა, რომ თანამშრომლობა განათლების ფსიქოლოგიისა და პროფესიული განათლების

მიმართულებით გაფართოებულიყო: „ეს მაგალითია იმისა, თუ როგორ იქმნება ხარისხიანი საერთაშორისო თანამშრომლობა ინდივიდუალური კონტაქტებისა და საერთო სამეცნიერო ინტერესების საფუძველზე“, – აღნიშნა მზია წერეთელი.

დღეისათვის პროექტში აქტიურად მონაწილეობენ თსუ-ს პროფესორები: ია აფთარაშვილი, თამარ გაგოშიძე, ირმა გრძელიძე, ბელა ბეტრიაშვილი, ასევე დოქტორანტები და ახალგაზრდა მკვლევრები. მათი ჩართულობა ქმნის მყარ საფუძველს მომავალი ინიციატივებისთვის.

პროექტის ფარგლებში გერმანელი კოლეგები უკვე მესამედ ჩამოდიან საქართველოში, ხოლო თსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი სტუმრობს შტუტგარტის უნივერსიტეტს. ეს არა მხოლოდ ცოდნისა და გამოცდილების გაცვლაა, არამედ შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ორივე მხარემ ერთმანეთის რეალობა უკეთ გაიცნოს.

დოქტორანტთა სემინარები: საერთაშორისო აკადემიური გარემოს მოქმედება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ამ თანამშრომლობის ფარგლებში ტარდება, დოქტორანტებისთვის განკუთვნილი სემინარებია. მათში მონაწილეობენ როგორც შტუტგარტის, ისე თსუ-ს სტუდენტები და პროფესორები. სემინარებზე განიხილება ზოგადი განათლებისა და პროფესიული განათლების საკითხები. შეხვედრები ტარდება ინგლისურ ენაზე და ევროპული აკადემიური ფორმატის მიხედვით, რაც სტუდენტებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი პრაქტიკაა. სემინარები უკვე სამჯერ გაიმართა – ერთხელ ონლაინ ფორმატში, შემდგომ კი თბილისსა და შტუტგარტში. „პროექტის ფარგლებში განსაკუთრე-



# სამწლიანი წარმატებული თანამშრომლობა შტუტგარტის უნივერსიტეტთან: ციფრული მეთოდები, საერთაშორისო გამოცდილება და მომავლის გეგმები

8-7 გვ-და

ბული აქცენტი კეთდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე სწავლა-სწავლების პროცესში. ეს თემა, მიუხედავად მისი აქტუალობისა, ჯერ კიდევ ნაკლებად არის გაშლილი ქართულ საგანმანათლებლო კვლევებში, რაც თანამშრომლობას განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის. გარდა აკადემიური მიზნებისა, თანამშრომლობა მოიცავს მნიშვნელოვან კულტურულ კომპონენტსაც, რაც ურთიერთგაგებასა და უნივერსიტეტებს შორის ხანგრძლივი პარტნიორობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, – თქვა მზია წერეთელმა.



**დღეისათვის პროექტში აქტიურად მონაწილეობენ თსუ-ს პროფესორები: ია აფთარაშვილი, თამარ გაგოშიძე, ირმა გრძელიძე, ბელა პეტრიაშვილი, ასევე დოქტორანტები და ახალგაზრდა მკვლევრები. მათი ჩართულობა ქმნის მყარ საფუძველს მომავალი ინიციატივებისთვის.**

### მულტილინგვური და მულტიკულტურული ასპექტები

პროექტის ერთ-ერთი ხაზია მულტილინგვური და მულტიკულტურული საკითხები – არა მხოლოდ ადგილობრივი მრავალენოვანი გარემოს, არამედ საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის კონტექსტში. აქ ყურადღება გამახვილებულია როგორც უცხოელი სტუდენტების ქართულ გარემოში ინტეგრაციაზე, ასევე ქართველებისა – ევროპულ აკადემიურ სივრცეში. ამჟამად, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, თსუ-ს განათლების ფსიქოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი ნინო ბოკუჩავა იმყოფება შტუტგარტში. გერმანული ენის სწავლასთან ერთად იგი ეცნობა გერმანულ სასწავლო და აკადემიურ გარემოს,

ესწრება ლექციებს; მანამდე მსგავსი გამოცდილება ჰქონდა დოქტორანტ მარიამ ბაკაშვილს. ორივემ ისარგებლა იმ შესაძლებლობებით, რასაც ერაზმუსისა და DAAD-ის დაფინანსებით განხორციელებული პროგრამა სთავაზობს.

### ინკლუზიური განათლება და ვირტუალური კლასი

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინკლუზიური განათლება და ვირტუალური კლასის დანერგვის პრაქტიკა. საპასუხო ვიზიტისას, პროექტის ქართველ მონაწილეებს შტუტგარტში შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ – როგორ მუშაობს ეს სისტემა შტუტგარტის უნივერსიტეტში,

ნახეს – როგორ ხდება ვარჯიში ემოციების ამოცნობაში, როგორია სწავლის ტექნიკები, სწავლის მეთოდები და როგორ ხდება მასწავლებელთა მომზადება ამ მიმართულებით და სხვ. ყურადღება გამახვილდა მასწავლებელთა მომზადებაზე და ინკლუზიური სწავლების სპეციფიკაზე. ასევე, პროექტის ფარგლებში რამდენიმე სემინარი ჩატარდა სტატისტიკურ პროგრამაში „R“, რომელიც გამოირჩევა ხელმისაწვდომობითა და მრავალფეროვანი შესაძლებლობებით. ამ სესიებს თავად პროფესორი ბერნცინი უძღვებოდა და ის კვლავაც აგრძელებს ჩართულობას სხვადასხვა მიმართულებით, – აღნიშნა მზია წერეთელმა ჩვენთან საუბარში.

### მომავლის გეგმები

თსუ-ში დაგეგმილია შტუტგარტელი კოლეგების კიდევ ერთი ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც გაიმართება საჯარო ლექციები და შემაჯამებელი შეხვედრები. პარალელურად უკვე მიმდინარეობს საუბარი თანამშრომლობის გაფართოებაზე რეგიონული უნივერსიტეტების ჩართულობით, თსუ-ს მეთვალყურეობით. „სამი წლის განმავლობაში თანამშრომლობა შტუტგარტის უნივერსიტეტთან არა მხოლოდ ერთობლივი პროექტია – ეს არის ინტერნაციონალიზაციის, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციური სწავლების განვითარების ნათელი მაგალითი. მომავალი კი კიდევ უფრო ფართო და ღრმა თანამშრომლობის შესაძლებლობას გვპირდება“, – თქვა მზია წერეთელმა.

# თსუ-ს წარმომადგენლები გრანადის უნივერსიტეტის სლავისტების საერთაშორისო კონფერენციაზე

61660 ხაპულია

2-4 ივნისს გრანადის უნივერსიტეტში (ესპანეთი) გაიმართა სლავისტიკის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია „GranaSlavic2025“, რომელსაც მასპინძლობდა გრანადის უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტი და სლავური კულტურის ცენტრი. ფორუმმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოიზიდა 250-მდე მკვლევარი, მეცნიერი და აკადემიური წრეების წარმომადგენელი, რომლებიც სლავური სამყაროს მრავალმხრივმა განხილვამ ერთ სივრცეში გააერთიანა.

საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **დალი კანდელაკმა** და თსუ-ს სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის – „რუსეთისმცოდნეობა“ – დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტმა **მარიამ ჯიბაშვილმა**. აღსანიშნავია, რომ მარიამმა წარადგინა მოხსენება, რომელიც მისი სამაგისტრო ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილია (სამეცნიერო ხელმძღვანელობას დალი კანდელაკი უწევს).

მოხსენება – „რევოლუციასა და შუღლს შორის: ევროპელი მოგზაურების თვალსაზრისი 1905 წლის კავკასიაზე“ – დალი კანდელაკმა რუსულ ენაზე წარადგინა სექციის – „რუსეთის ისტორია და საერთაშორისო ურთიერთობები“ – ფარგლებში, რადგან დამსწრე საზოგადოებას უმეტესად რუსულენოვანი მეცნიერები წარმოადგენდნენ. მოხსენებაში

მან განიხილა ორი ევროპელი ავტორის მიერ 1906 წელს გამოქვეყნებული მოგზაურობის ქრონიკები, რომლებიც 1905 წლის პირველ რუსულ რევოლუციასთან დაკავშირებულ არეულობებსა თუ შიდა დაპირისპირებებს ასახავს. იმდროინდელ გამოცხადებულ რევოლუციის დღევანდელ ვითარებაშიც ვხვდებით. საუბარი იყო ფრანგი მწერლისა და მოგზაურის – ჟან შოპფერის (ლიტ. ფსევდონიმი – კლოდ ანე) ნაწარმოებზე – „ისფაჰანის ვარდები“. ავტომობილით სპარსეთში, რუსეთისა და კავკასიის გავლით“ და იტალიელი დიპლომატის, ჟურნალისტისა და მკვლევრის ლუიჯი ვილარის ნიგნზე – „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“, რომელიც უნიკალური წყაროა იმდროინდელი სამხრეთ კავკასიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კლოდ ანეს ნაწარმოების სრული თარგმანი ჯერ არ გამოცემულა ქართულ და რუსულ ენაზე, ხოლო ვილარის ნიგნი ქართულ და რუსულენოვანი მკითხველისთვის 2024 წლიდანაა ხელმისაწვდომი, ისინი კონფერენციის აუდიტორიისთვის უცნობი აღმოჩნდა.

„ორივე ავტორმა იმოგზაურა იმ რეგიონებში, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი კერები იყო – პოლიტიკურად მღელვარე და მრავალენოვანი. ისინი პირადად გაესაუბრნენ სხვადასხვა სოციალური ფენის, ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლებს და თავიანთ ჩანაწერებში დეტალურად ასახეს სომხურ-თათრული დეტალურად ასახეს სომხურ-თათრული დეტალურად ასახეს სომხურ-თათრული დეტალურად ასახეს...“



ალიტიკური წყაროებისა სამხრეთ კავკასიის რეალობის ასახვისთვის“, – აღნიშნა დალი კანდელაკმა.

მაგისტრანტმა მარიამ ჯიბაშვილმა მოხსენება – „1930-იანი წლების საბჭოთა კავშირი: სახელმწიფო კონტროლი და კულტურული რევოლუცია უცხოელი ავტორების ალქმში“ – ინგლისურ ენაზე წარადგინა სექციის – „კულტურათაშორისი შეხვედრები“ – ფარგლებში. მოხსენება მიეძღვნა უცხოელი მწერლების – ანდრე ჟიდისა და ლიონ ფოიხტვანგერის – საბჭოთა კავშირში მოგზაურობის და იქ მიღებული შთაბეჭდილებების ანალიზს. ეს თემა მისი სამაგისტრო ნაშრომის ცენტრალურ ხაზს წარმოადგენს და კარგად ეხმიანებოდა კონფერენციის საერთო დისკურსს.

„ლიონ ფოიხტვანგერი ნაწარმოებში – „მოსკოვი 1937“ – განსაკუთრებულ აქცენტს სოციალისტური სისტემის წარმატებებზე და სტალინის პერსონაზე აკეთებს. მისი თხრობა ეფუძნება

ოფიციალურ სტატისტიკას და საბჭოთა კავშირის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. ტექსტში წარმოდგენილია საბჭოთა რეალობის იდეალიზებული სურათი, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება იმდროინდელი რეალობის კრიტიკულ აღქმას. სხვა ვითარებაა ფრანგი მწერლის ანდრე ჟიდის შემთხვევაში, რომელმაც საბჭოთა კავშირში 1936 წელს იმოგზაურა. მისმა ნიგნმა – „დაბრუნება სსრკ-დან“ – მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასავლურ საზოგადოებრივ აზრზე. ჟიდი თავდაპირველად პოზიტიურად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, თუმცა მისი შთაბეჭდილებები თანდათანობით იმედგაცრუებად გარდაიქმნა. ტექსტში ის აღწერს ტოტალურ კონტროლს, მოლოდინისგან განსხვავებულ სოციალურ რეალობას, შიშით სავსე ყოველდღიურ ცხოვრებას, სიცხვესა და უნდობლობას ადამიანებს შორის. ჟიდი ტექსტი ერთ-ერთი პირველი ინტელექტუალური პროტესტი იყო, რომელიც სისტემურ რეპრესიებსა და იდეოლოგიურ ტოტალიტარიზმს ეხებოდა. ორივე ტექსტი უნიკალური ისტორიულ-ანალიტიკური წყაროა: ერთი წარმოადგენს რეჟიმის პოზიტიურ ასახვას ოფიციალურ მექანიზმებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე – კრიტიკულ ნარატივს საკუთარი თვალთ დახეხული რეალობის საფუძველზე“, – განაცხადა დალი კანდელაკმა.

ამ ეტაპზე, დალი კანდელაკი და მარიამ ჯიბაშვილი, მათი ნაკითხული მოხსენების საფუძველზე ამზადებენ სტატიებს, რომლებიც გამოქვეყნდება გრანადის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში.



# გუგული მალრადის იუბილისადმი მიძღვნილი ლონისძიებები თსუ-ში

მაია ბორაძე

საკლებად მოიძებნება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელიც არ იცნობს გუგული მალრადეს – მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ფსიქოლოგიის ქართული სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, რომლის მრავალმხრივმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც აკადემიურ სივრცეში, ასევე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში.

მისი პროფესიული გზა მჭიდროდ უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მან, მრავალმხრივი განათლებისა და სისტემური მეცნიერული ინტერესების საფუძველზე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება 1976 წელს მოიპოვა, ხოლო დოქტორის ხარისხი 1993 წელს დაიცვა.

გუგული მალრადის სამეცნიერო მოღვაწეობა განსაკუთრებით გამოირჩევა სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში. მისი პირველი და ერთ-ერთი ცენტრალური კვლევითი თემა – კონფორმიზმის ფსიქოლოგია – ეყრდნობა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას. გუგული მალრადემ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ კონფორმიზმი არ არის მხოლოდ ჯგუფის ზენოლაზე ბრმა მორგება, არამედ ფორმალური რეალობასთან ადაპტაციის ფორმაა. ამჯერ კონტექსტში მან, სოციალური გავლენის შესახებ დომინანტური წარმოდგენების განალიზების შემდგომ, დაასაბუთა, რომ გავლენის წყარო შეიძლება იყოს არა მხოლოდ უმრავლესობა, არამედ უმცირესობაც, რაც მნიშვნელოვან თეორიულ გარდატეხას წარმოადგენს სოციალურ ფსიქოლოგიაში.

გუგული მალრადის კვლევების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალური სტერეოტიპების, ე.წ. სოციალური აქსიომების ეთნოკულტურული თავისებურებების შესწავლა. ამ მიმართულებით მან მონაწილეობა მიიღო 41-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებულ საერთაშორისო კვლევაში, რომლის შედეგებიც ფართოდ ციტირებულია მეცნიერებაში და ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება კულტურათმცოდნეობის კომპლექსის საკითხებში.

1990-იანი წლებიდან გუგული მალრადე ინტენსიურად ჩაერთო კონფლიქტოლოგიის სფეროში. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ამ მიმართულებით აკადემიური სწავლების სტრუქტურას – შექმნა კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სასწავლო კურსი, მონაწილეობდა სახელმძღვანელოების შედგენასა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით 2006 წლიდან დღემდე მოქმედებს თსუ-ს კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ამ სფეროს კვლევისა და სწავლების წამყვან კერად ჩამოყალიბდა.

გუგული მალრადის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ფართოდ გაცდა საქართველოს ფარგლებსაც. იგი იყო მონაწილე პროფესორი აშშ-ის ჯორჯ მესონის უნივერსიტეტში, თანამშრომლობდა არაერთ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებასთან.

თავისი მრავალმხრივი საქმიანობით, იგი არა მხოლოდ აკადემიურ და პოლიტიკურ სფეროში დამკვიდრებული ფიგურაა, არამედ ერთ-ერთი გამორჩეული ქალია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალთა უფლებების

**მისი პროფესიული გზა მჭიდროდ უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მან, მრავალმხრივი განათლებისა და სისტემური მეცნიერული ინტერესების საფუძველზე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება 1976 წელს მოიპოვა, ხოლო დოქტორის ხარისხი 1993 წელს დაიცვა.**

დაცვისა და გაძლიერების საქმეშიც. გუგული მალრადის ჩართულობას კონფლიქტოლოგიისა და მშვიდობის კვლევის სფეროში მკაფიოდ აჩვენს 2005 წელს გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით გამოცემული წიგნი: „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“, რომელიც მის მნიშვნელოვან ნაშრომთა შორის არის მოხსენიებული.

ახლახან უცხოეთში დაიბეჭდა, თანავტორებთან ერთად, გუგული მალრადის მონოგრაფია – „კულტურული შეხვედრები და შესაბამისი პრაქტიკა კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობის შექმნაში“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ავტორები წარმოადგენენ მათ ქვეყნებში კონფლიქტის გადაჭრის ტრადიციებს. მონოგრაფიის მეხუთე თავი, რომლის ავტორია გუგული მალრადე, ეძღვნება საქართველოში კონფლიქტის მოგვარების ტრადიციული მექანიზმების განხილვას. მონოგრაფიამ მაღალი შეფასება მიიღო საერთაშორისო ექსპერტებისგან.

გარდა აკადემიური წვლილისა, გუგული მალრადე, როგორც სამი მონვევის პარლამენტის წევრი, მუშაობდა განათლებისა და კულტურის, გარემოს დაცვისა და ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებზე, რომლებშიც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ინტეგრირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მისი მონაწილეობით შემუშავდა რამდენიმე კანონპროექტი, რომელიც ხელს უწყობდა ქალთა განათლებასა და მათ სამოქალაქო გააქტიურებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მცდელობა, გააერთიანოს კვლევა, განათლება და პოლიტიკური ინიციატივა ისე, რომ გაძლიერდეს ქალთა ხმა პოლიტიკასა და მეცნიერებაში.

გუგული მალრადის სახელი არაერთ მნიშვნელოვან ნამოწყებას უკავშირდება, მათ შორის, თამბაქოს მოხმარების რეგულაციის გამკაცრებას. მისი უშუალო ჩართულობით და აქტიური მხარდაჭერით მოამზადეს და მიიღეს თამბაქოს კონტროლის კანონპროექტი, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა საქართველოს მიდგომა თამბაქოსთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე.

\*\*\*

მიმდინარე წელი პროფესორ გუგული მალრადის საიუბილეო წელია და ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთი ღონისძიება ჩატარდა.

12 ივნისს გაიმართა PAX IBERIANA სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა სამხრეთ კავკასიაში სამშვიდობო ზონების ტრადიციასა და მისი მომავალში იმპლემენტაციის შესაძლებლობებს. ამ კონფერენციის თანაორგანიზატორები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტ-



თან ერთად, იყვნენ ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის კარტერის მშვიდობის და კონფლიქტის სკოლა, მაჰათმა განდის საზოგადოება ინდოეთიდან და ტორონტოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები. კონფერენცია გაიხსნა ბატონი რის-მაგ გორდუნიანის სიტყვებით, რომელშიც ის საუბრობს „დინამიური შემოქმედების“ როლზე სტაბილური მშვიდობის დამყარებაში, მინოსური ცივილიზაციის პერიოდში.

კონფერენციაზე წაიკითხეს თანამედროვე კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამის, ინგლისელი მეცნიერის ქრისტოფერ მიტჩელის მისასალმებელი სიტყვა. მან დიდი იმედი გამოთქვა, რომ სამხრეთ კავკასია ნეოლითური ტრადიციის აღდგენას მოახერხებს და იქცევა „პოზიტიური მშვიდობის“ ნამდვილ მაგალითად მთელი მსოფლიოსათვის.

სიტყვები წარმოთქვეს თსუ-ს კონფლიქტოლოგიის ცენტრის წარმომადგენლებმა, პროფესორმა გუგული მალრადემ და კონფლიქტოლოგიის დოქტორმა მარეხ დევიდემ.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით წარდგინეს ქართველი და უცხოელი მეცნიერები: ტორონტოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯილ კარ ჰარისმა აღნიშნა, რომ ქართულ და სომხურ ტრადიციებში მშვიდობიან ცეკვის ფენომენს განსაკუთრებით დიდი როლი უჭირავს; ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა და პროფესორ ემერიტუსმა ჯული ქრისტენსენმა ხაზი გაუსვა ქართული კრეატიული ტრადიციის ახლობლობას მსოფლიოს გილანურ და მშვიდობიან კულტურასთან; კარტერის სკოლის წარმომადგენელმა რიჩარდ რუბინშტაინმა აღნიშნა, რომ საქართველოს გააჩნია იმპერიალიზმთან ბრძოლის საკმაოდ მდიდარი ტრადიციები და ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მოღვაწეობისას.

კონფერენციაზე, საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, მაღალი სამეცნიერო დონე აჩვენა. გადაწყდა, რომ, რისმაგ გორდუნიანის იდეის მიხედვით, რეგულარულად ჩატარდეს სამშვიდობო სამეცნიერო კონფერენციები ამ თემაზე.

\*\*\*

18 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გუგული მალრადის იუბილეს კიდევ ერთი კონფერენცია მიეძღვნა. მისასალმებელ გამოსვლაში უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ მოკლედ მიმოიხილა პროფესორ გუგული მალრადის საქმიანობა აკადემიურ და პოლიტიკურ ასპარეზზე და წარმატებები უსურვა მას. იუბილარს ასევე მიესალმნენ სოციალურ და პო-

ლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სალომე დუნდუა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მზია წერეთელი, პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი რევაზ ქვარცხავა, ყოფილი პარლამენტარები ენძელა მაჭავარიანი, ელისო ჩაფიძე და სხვები. დამსწრე საზოგადოებამ მოუსმინა უცხოელი კოლეგების ვრცელ მისალმებებსაც. მათ განსაკუთრებით გამოკვეთეს კოლეგებისა და სტუდენტებისადმი მუდმივი კეთილგანწყობა და ის პოზიტიური ენერჯია, რომელიც ქალბატონ გუგული მალრადესთან მუშაობის დროს ყოველთვის იგრძნობა.



საიუბილეო კონფერენციის მეორე ნაწილი მიეძღვნა სამეცნიერო მოხსენებებს. კონფერენციის ძირითადი თემა იყო „კონფლიქტები ცვალებად გეოპოლიტიკურ სივრცეში“, რომლის შესახებაც კვლევის შედეგები წარმოადგინეს: პროფესორმა არჩილ გეგეშიძემ („ტრანსფორმირებული კონფლიქტი: თავისებურებები და სარგებელი“); თსუ-ს ფსიქოლოგიური განწყობის კვლევისა და კორექციის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ („გადანყვეტილებისა და კონსენსუსის მიღწევის შინაგანი რესურსი“); ასოცირებული პროფესორმა ვახტანგ მაისაიამ („სამხედრო კონფლიქტების ტრანსფორმაცია პოსტ ბიპოლარული წესრიგის პირობებში“); ასისტენტ-პროფესორმა ლაშა ტულუშმა („პოპულიზმი კონფლიქტების ახალი წყარო“).

საიუბილეო კონფერენცია დასრულდა შემაჯამებელი ნაწილით, სადაც ითქვა, რომ გუგული მალრადე არის მეცნიერი, რომლის აკადემიურმა მიღწევებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული ფსიქოლოგიის თეორია და პრაქტიკა. მისი სახელით არის გაფორმებული არაერთი ინოვაციური იდეა სოციალურ ფსიქოლოგიაში, ხოლო კონფლიქტოლოგიისა და განათლების პოლიტიკის სფეროში განხორციელებული საქმიანობა ღირებული წვლილია როგორც აკადემიური საზოგადოების, ისე ქვეყნის განვითარებისთვის.



# „კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)“ – ფუნდამენტური კვლევის შედეგები

ენოლოგია

თსუ-მ კიდევ ერთხელ მოიპოვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო გრანტი. ამ კვლევის შედეგად ხელოვნებათმცოდნეებმა ნინო ჭოლოშვილმა, ქრისტინე დარჩიამ, ირინე აბესაძემ და სალომე ჭანტურიძემ ალბომი შექმნეს – „კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)“. ნაშრომი წინა საუკუნეების კარიკატურებს აერთიანებს და ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას ასახავს. ეს არის პირველი მცდელობა – თავი მოეყაროს ქართულ კარიკატურულ მემკვიდრეობას და გამოიკვეთოს მისი განვითარების ძირითადი ეტაპები.

„კარიკატურებში მძაფრად ვლინდება ქართული მხატვრობის სხვადასხვა მიმდინარეობების მახასიათებელი ნიშნები, იქნება ეს რეალისტური მხატვრობა, მოდერნიზმი თუ სოც-რეალიზმი. ამავდროულად, კარიკატურის განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბეჭდურ მედიასთან, შესაბამისად, კარიკატურებში კარგადაა ასახული სხვადასხვა დროს პრესის განვითარების ეტაპები საქართველოში. გარდა ამისა, ასწლოვან პერიოდში საქართველომ არაერთი პოლიტიკური ფორმაცია გამოიარა, ამიტომ წიგნი კარიკატურის პარალელურად პირუთენელად გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც“, – ამბობს ქრისტინე დარჩია, რომელიც პროექტის კოორდინატორია. მისი თქმით, ქართული კარიკატურები ბოლო დრომდე, პრაქტიკულად, უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის – დავინყებულნი და შეუსწავლელი სამეცნიერო წრეებში.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში პროექტის ავტორები აღნიშავენ, რომ პროექტის თავდაპირველი იდეა პროფესორ მაია ციციშვილს ეკუთვნოდა, რომელიც, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო პროექტის დასრულებას.

1880-დან 1980 წლამდე პერიოდი ავტორებმა მიზანმიმართულად აირჩიეს – ეს დრო ემთხვევა როგორც პირველი კარიკატურების გამოჩენას ქართულ პრესაში, ისე მათი ყანობრივი განვი-



თარების პერიოდს. ამ ერთ საუკუნეში კარიკატურა მრავალ სახეცვლილებას განიცდიდა: ის ქმნიდა კულტურულ ხასიათს, რეაგირებდა ისტორიულ გარდატეხებზე, ირეკლავდა საზოგადოებრივ განწყობებს.

ავტორებს იმ სირთულეებზეც ვკითხეთ, რომელიც კვლევის პროცესში შეხვდათ. მათ პირველ რიგში პანდემიის მიერ გამოწვეულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება – შეფერხდა მუშაობის ფონდებში მუშაობა, ასევე სამუშაო ვიზიტები ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ. მიუხედავად ამისა, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ავტორებმა შეძლეს – ათასობით კარიკატურიდან შეერჩიათ ის ნიმუშები, რომლებიც როგორც მხატვრული ხარისხით, ისე შინაარსობრივი მნიშვნელობით განსაკუთრებული იყო. „გამოვლენილი მასალა იმდენია, თავისუფლად შეიძლება თითოეულ ეპოქაზე ცალკე და კიდევ უფრო სიღრმისეული ანალიზების გაკეთება. სამომავლოდ ვფიქრობთ საერთაშორისო თემატური კონფერენციის მოწყობას“, – აცხადებენ ავტორები.


ალბომის – „კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)“ – პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-



ფუნდამენტური კვლევის შედეგად გამოვიდა ალბომი „კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)“.

ტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ზაზა სხირტლაძე, აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და მონვეული სტუმრები.

ქართველი და საქართველოში მცხოვრები არაქართველი ავტორების კარიკატურათა სიღრმისეული კვლევა სამუშაოებს იძლევა საქართველოს წარსული სრულიად ახალი, მანამდე უცნობი რაკურსით წარმოჩინდეს.



აი, ასე ერთხელ ვინაღმდეგ მუშაობენ ჩვენი რეჟისორები სამშობლო თეატრის საუბ...საუბ...ბედნიეროდ!..

- მთავარი რედაქტორი  
ნინო კაკულია
- მთავარი სამცხალისტი  
მაია ტორაძე
- ტექნიკური რედაქტორი  
ირმა სულიაშვილი
- შურაწლისტები:  
თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი  
ნინო ჩარკვიანი
- კონსულტანტი  
მერაბ კოკოჩაშვილი
- ფოტოკომპოზიტორი  
გიზო ყუფარაძე
- კომპ. უზრუნველყოფა  
მიხეილ თვარაძე

- რედაქციის წევრები:**
- მანანა შამილიშვილი,
  - იაგო კაჭკაჭიშვილი,
  - ირმა რატიანი,
  - ირინე დარჩია,
  - თინათინ ბოლქვაძე,
  - ვლადიმერ პაპავა,
  - ეთერ ხარაიშვილი,
  - რევაზ გველესიანი,
  - ეკატერინე ფირცხალავა,
  - ნინო გაჩეჩილაძე,
  - თემურ ნადარეიშვილი,
  - ლელა ჯანაშვილი,
  - მაია ივანიძე,
  - მამუკა მარგველაშვილი,
  - გია ლობჯანიძე,
  - ნინო უგრეხელიძე

**მისამართი:**  
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ა  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)  
☎ 577 52 77 73

**ვებგვერდი:**  
gazeti.tsu.ge

**ელ.ფოსტა:**  
nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვაში ერთხელ გაჭლარი სახით გამოიყვამ.

ახალი ყოვალდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს  
gazeti.tsu.ge

მოგვაცოლათ ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სინსულაბს

